# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 189 (6047)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



**მედვედევ-პუტინი გორს დაესხნენ თავს, ხოლო მედვედევ-პუტინზე დაბოღმილი სააკაშვილი სტალინის ძეგლს დაესხა გორში... ცხენს ვერ მოერივნენ და უნაგირს ამტვრევენო, სწორედ ისეა საქმე...**

## საქმე ტრიბუნალს უნდა გადაეცეს...

2



**ია ანთაძე: რატომ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მქონდეს დენი, თუ არ მექნება თავისუფალი ტელევიზია?!**

3

## ისევ 7 ნოემბერი - 2?!

7

## პუტინის შეცდომა



The Washington Times

8

## ბალათურიას გადაყენება მოითხოვეს



5

## საქართველოში ოპოზიციური აზროვნების მწვავე დეფიციტა,

5-7



ანუ „მოყვარეს პირში უძრახე"

ინფორმაცია

## რუსეთის წმინდა სინოდი განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევს



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ოსეთისა და აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში მიღებაზე უარი განუცხადა და აღნიშნა, რომ მათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევს, წერს გამოცემა „კომერსანტი“. სტატიაში ნათქვამია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებით რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს პატრიარქატს დაუჭირა მხარი.

## სხეფერი: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ რუსეთი იზოლაციაში მოაქცია

ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი აცხადებს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ რუსეთი იზოლაციაში მოაქცია.

— რუსეთის გარდა რავის ულიარებია ეს ორი რესპუბლიკა, ამიტომაც ამ გადაწყვეტილების მიღებამ რუსეთი თავად მოაქცია იზოლაციაში, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა მსოფლიო პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

ნატოს გენერალური მდივანი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილებაზე და ამისათვის საერთაშორისო დებატების ჩატარება უზრუნველყოს.

— რუსეთის ქმედებებზე დათანხმება ნიშნავს მხოლოდ ერთს — დავეთანხმეთ საზღვრების ძალისმიერი შეცვლის შესაძლებლობას, — აცხადებს სხეფერი.

## მართლა გააკვირვებს?

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ რადიკალური განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გააკვირვეს.

ბაქრაძის გაკვირვება უმცირესობის ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძის განცხადებამ გამოიწვია, რომელმაც აჭარაში „ხმების მოსავლის“ აღების დაწყებაზე ისაუბრა.

მისი თქმით, აჭარაში რაიონის გამგებლებს უკვე აქვთ მიცემული დავალება, თუ ხმების რა რაოდენობა უნდა აიღონ.

— მოვუწოდებ ხელისუფლებას, ნუ ერევა საარჩევნო პროცესში, — განაცხადა ვეფხვაძემ და ხელისუფლებას 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაფორმებული მემორანდუმი შეახსენა, რომლის თანახმადაც უნდა შექმნილიყო ჯგუფი არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევების შესასწავლად, რათა ეს დარღვევები შემდგომში აღარ განმეორებულიყო.

ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი

სად არის გამოსავალი?

# საქმე ტრიბუნალს უნდა გადაეცეს...

**ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, პროფესორი ბიძინა სავანელი**



**— როგორც საერთაშორისო სამართლის ექსპერტს, გთხოვთ განმარტოდ: სად უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ უკვე დე იურეთაც ვკარგავთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს?**

— ის, რომ უკვე დე იურეთაც ვკარგავთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს, სათავეს იღებს პარლამენტის მიერ ჩატარებული საკონსტიტუციო ცვლილებებიდან, რითაც განუზომელი ძალაუფლება მიენიჭა სააკაშვილს, რაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთხმად დაგმო ჯერ კიდევ 2005 წელს, და მომავალში გართულებების თავიდან ასაცილებლად პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების დაუყოვნებლივი გადახედვა მოსთხოვა.

კერძოდ:

ბურჯანაძემ და მისმა საპარლამენტო გუნდმა საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების სრული დარღვევით:

1) პრეზიდენტს მიანიჭა მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიური უფლება, რითაც სასამართლო ხელისუფლება მას დაუქვემდებარა.

2) პროკურატურა გამოიყვანა მართლმსაჯულების სისტემიდან და იგი პრეზიდენტს დაუმორჩილა,

3) გააერთიანა უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები;

4) პრეზიდენტს მიანიჭა პარლამენტის დათხოვნის ექსკლუზიური უფლება, რითაც საკანონმდებლო ხელისუფლება მას დაუქვემდებარა.

5) იურიდიული ძალის არმქონედ არ გამოაცხადა აფხაზეთში და ე. წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებზე რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი **მოწმობები;** ანუ არ აღკვეთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის მცდელობა.

6) **დსთ-დან გამოსვლაზე უარი განაცხადა,** ანუ დანაშაულებრივი უმოქმედობით დაბლოკა გაეროს ჯარებით დსთ-ს ჯარების ჩანაცვლება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

7) **კონტროლი არ გაუწია მთავრობის საქმიანობას** ეკონომიკის, საკუთრების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სოციალურ, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სფეროებში, რის აპოგეად იქცა **2007 წლის 7 ნოემბერი.**

**2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღმაშფოთებელი დარღვევები, რაც გაამართლა ბურჯანაძემ, მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული ქვეყნების მთავრობებმა დაგმეს სააკაშვილის და მისი ძალოვნების ვანდალური აქცია მოშიმშილეების, მშვიდობიანი მომიტინგეების და ტელეიმედის წინააღმდეგ. (იხ. ნატოს გენერალური მდივნის, გერმანიის, საფრანგეთის, ესტონეთის და ევროკავშირის სხვა ბევრი ქვეყნის მთავრობების და მათი საგარეო საქმეთა სამინისტროების განცხადებები). აღნიშნული ქმედებით ბურჯანაძემ და მისმა საპარლამენტო გუნდმა მიაჩუმათა ანუ დაფარა დანაშაული, რითაც ხელი შეუწყო სააკაშვილს და მასთან დაახლოებულ გუნდს, რეპრესიული რეჟიმი დაემყარებინა, და რამაც მწვანე შუქი მისცა სააკაშვილს სამხედრო ავანტიურა წამოეწყო სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ზონაში.**

**ამრიგად, ბურჯანაძემ და მისმა საპარლამენტო გუნდმა აღჭურვა რა პრეზიდენტი შეუზღუდავი ხელისუფლებით, საქართველო კატასტროფამდე მიიყვანა. ძალაუფლებით გათამამებულმა სააკაშვილმა რუსეთთან დამარცხებისთვის განწირული ომი წამოიწყო.**

**— თქვენ ბურჯანაძე ახსენეთ. პირადად ბურჯანაძეს რა ბრალი მიუძღვის?**

— ბურჯანაძემ, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, არ უზრუნველყო სამართლიანი, თავისუფალი და გაუყალბებელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, კერძოდ, დაფარა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფა, სახელდობრ, დაფარა დანაშაული, გათვალისწინებული:

**სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით,** რომლის ძალით: არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა, ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, ან სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შკავების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე; აგრეთვე დაფარა დანაშაული, გათვალისწინებული

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-3 მუხლით,** რომლის ძალით: „არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების, საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალების და საკონტროლო ფურცლების გაყალბება ისჯება 2 წლით თავისუფლების აღკვეთით“.

**ბურჯანაძის და საპარლამენტო უმრავლესობის გუნდის ბრალი ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის ნორმების და საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფასა და დარღვევაში, აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულებში დასტურდება ეუთოს დასკვნებით და საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების — სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებით, მისივე სატელევიზიო და საგაზეთო პუბლიკაციებით და მათი შეჯერებით, რის გამოც უნდა აღიძრას სისიხლის სამართლის საქმე ბურჯანაძის და საპარლამენტო უმრავლესობის გუნდის მიმართ.**

**— მაგრამ, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილმა დაპირება მისცა მსოფლიოს, რომ საქართველო გახდება უფრო დემოკრატიული, ვიდრე რუსეთის აგრესიამდე იყო. რამდენად საიმედოა ასეთი დაპირება?**

— ვკითხულობ: სააკაშვილი რა უარს იტყვის მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიურ უფლებაზე? პროკურატურას სასამართლო ხელისუფლებაში დააბრუნებს? ანდა იუსტიციის საბჭო და სასამართლო სისტემა მხოლოდ მიუკერძოებელი, სამართლიანი, დამოუკიდებელი, ბრძენი და ავტორიტეტული მოსამართლებით დაკომპლექტდება? საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაუწყებელ ყველა კერძო ტელეარხს თავის კონტროლიდან გამოიყვანს? აღადგენს ადგილებზე ხალხის თვითმმართველობას? მსხვილ ბიზნესს შეეშვება და განიავებულ და მითვისებულ მილიარდებს და უკანონოდ წართმეულ ქონებას მესაკუთრეებს და ხალხს დაუბრუნებს? და ასე შემდეგ. და თუ ასეთი რამ მოხდა, მე დავუბრუნდები სააკაშვილის აქტიურ მხარდამჭერ ინტელექტუალთა რიგებს. მაგრამ ეს გამორიცხულია. სააკაშვილის ფროიდისტულ-უზნაძისეული ფსიქოტიპი ასეთი იმედის საფუძველს არ იძლევა.

დიახ, 2004 წლამდე გვქონდა ანარქია, მაგრამ ახლა მივიღეთ მონარქია. ჩვენთვის არც ერთი და არც მეორე მისაღები არ არის. ამიტომ საჭიროა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების საფუძველზე დემოკრატიული საკონსტიტუციო ნორმების აღდგენა.

მე ვშიშობ, რომ სააკაშვილის ზემოაღნიშნული „დაპირება“ საპირისპიროდ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში შეიძლება რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყოს, თანაც უფრო მძიმე ფორმებით, რადგან უახლოეს ხანში ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია მოსალოდნელი. ასე რომ ვარდების მეორე რევოლუცია 30-იანი წლების რეანიმაციის ასპექტში უნდა მოვიაზროთ.

***— მაგრამ გაეროს გენერალურ ასაბლეაზე სააკაშვილმა დაპირება მისცა მსოფლიოს, რომ ის „ვარდების მეორე რევოლუციით“ უპასუხებს რუსეთის აგრესიას.***

— „ვარდების პირველმა რევოლუციამ“ სოხუმი და ცხინვალი დაგვაკარგვინა, „ვარდების მეორე რევოლუცია“ შავი ზღვისპირეთს, და ბოლოს, დარჩენილ საქართველოს ხომ არ დაგვაკარგვინებს ჩვენ ქართველებს, და დიდი ხნის ოცნებას ხომ არ აუხდენს ჩვენს ორ ისტორიულად „კეთილმოსურნე“ მეზობელს?! ვერ გავიგე, ვის ინტერესებს ემსახურება სააკაშვილი?!...

**— იქნებ საქართველოს ნატოში გაწევრებამ გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან?**

— ნატოს მორიგი სამიტი უნდა გაიმართოს დეკემბერში, მაგრამ თბილისში სტუმრობისას ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმა არაფერი თქვა იმის შესახებ, ნატოში გასაერთიანებლად საქართველოს მიეცემა თუ არა პროგრამა შესასრულებლად.

როგორც რუსეთ-საქართველოს სამდღიანი ომის შემდგომი პერიოდის ევროპის უახლესი ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, ნატოს წევრ ქვეყნებს შორის აზრთა სერიოზული სხვაობა გაჩნდა იმის შესახებ: ღირს კი საკითხი საქართველოს ნატოში გაწევრების შესახებ საერთოდ დაისვას? საქართველოს ნატოში გაწევრების მოწინააღმდეგე ქვეყნები თვლიან, რომ ნატო სწორედ მოიქცა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას ბუქარესტის სამიტზე უარი უთხრა გასაწევრებლად მოქმედების გეგმის მიცემაზე, რადგან საქართველოს ჭირვეული და გაუწონასწორებელი მთავრობის მიერ ნატო შეიძლება ჩათრეულიყო რუსეთთან საომარ მდგომარეობაში. ეს კი კითხვის ქვეშ დააყენებდა საერთოდ ნატოს, როგორც მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანიზაციის მომავალს.



უფრო მეტი, ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოს მთავრობის აგრესიული ქმედებების გამო კონფლიქტამდე და კონფლიქტის დღეს, და ეჭვს გამოთქვამს დემოკრატიის ნორმებისადმი საქართველოს მთავრობის ერთგულების შესახებ.

და მართლაც, 2004 წლიდან მოყოლებული, მიუხედავად ევროსაბჭოს და ოდნავ მოგვიანებით ნატოს უთვალავი მოწოდებისა, სააკაშვილმა, მისმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და საპარლამენტო უმრავლესობამ ბურჯანაძის თავმჯდომარეობით, ანტიდემოკრატიული რეფორმები ჩაატარა ქვეყანაში. არსებობს აზრი, რომ ანტიდემოკრატიული რეფორმების მიზანი იყო და დღესაც რჩება ხელისუფლების შენარჩუნება დიქტატურაზე ორიენტირებული „რეფორმების“ გაგრძელების მეოხებით.

პოლონეთის ერთ-ერთმა ცენტრალურმა გაზეთმა *(„Gazeta polska“)* ასე დაასათაურა სარედაქციო სტატია: „ცხინვალის საგიჟეთის შემდეგ საქართველომ ჩრდილოატლანტიკური არჩევანი უნდა დაივიწყოს“. (26. 09. 2008).

**— როგორ შეაფასებდით რუსეთ-საქართველოს ომს საერთაშორისო სამართლის სტანდარტების პოზიციიდან?**

— ამერიკული სააგენტოს „ბლუმბერგის“ ჟურნალისტის ზუსტად ასეთ შეკითხვაზე: „როგორ შეაფასებდით რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ“, გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ შემდეგი უპასუხა: „ცხადია, საქართველოს შეიარაღებული ძალა, შეიჭრა რა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ დაცულ „სამხრეთ ოსეთის ზონაში“, აგრესიის აქტი ჩაიდინა. ამრიგად, სრულიად ცხადია, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს წესდება დაარღვია.“

უფრო მეტი, 11 სექტემბერს „ეხო მოსკვის“ კორესპონდენტს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით ამერიკის ელჩმა ჯო ბრედლიმ შემდეგი განაცხადა: „ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევდით სააკაშვილს არ ჩათრეულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში, რაშიც ის დამარცხდებოდა. მაგრამ სააკაშვილმა ჩვენს რჩევებს ყური არ უგდო. ჩვენ საქართველოს დავეხმარეთ ჯარის შექმნაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ამით მწვანე შუქი მივეცით ჩათრეულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში.“ იგივე უკმაყოფილება უფრო ადრე გამოთქვეს კონდოლიზა რაისმა და მისმა მოადგილემ ფრიდმა.

იხ. 4 გვ.

კომპეტენტური აზრი

# ია ანთაძე: რატომ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მქონდეს დენი, თუ არ მექნება თავისუფალი ტელევიზია?!



## „გამარჯვების სინდრომით“ დაავადებულ სააკაშვილს დამარცხების დაჯერება უჭირს

**ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და ქვეყნის შემდგომი პერსპექტივების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ჟურნალისტ ია ანთაძეს:**

ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა იმაზე, თუ რა მოხდა ძნელია იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია. მემაგალითად, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და ჩვეულებრივი ადამიანი, ვფიქრობ, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტს ჰქონდა ორი არჩევანი: ერთი — ჭეშმარიტად დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის აშენება, რაც გულისხმობდა იმას, რომ უნდა მომხდარიყო ძალაუფლების დანაწილება, დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის, პარლამენტის, დამოუკიდებელი სასამართლოსა და მედიის გაძლიერება. ეს იქნებოდა ძალიან ხანგრძლივი, მაგრამ სტაბილური გზა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისკენ. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ აირჩია მეორე გზა — ანუ სწრაფი ტემპი. ტერიტორიების დაბრუნება გამოცხადდა მთავარ ორიენტირად, რაც უკვე გულისხმობდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა ყოფილიყო სუსტი. მათ შექმნეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც გამორიცხავდა დისკუსიებს, ბევრ დიალოგს, საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღებაში და დღეს გვაქვს ქვეყანა, სადაც რამდენიმე ადამიანმა კაბინეტში, დახურულ კარს მიღმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობდა საბრძოლო მოქმედებების დაწყებას.

მახსოვს, იყო სამშვიდობო ინიციატივებიც, მაგრამ იყო მეორე ალტერნატივა — ომით დაბრუნება დაკარგული ტერიტორიებისა, ანუ ჩვენი ქვეყანა, ისევე როგორც რუსეთი, ემზადებოდა ომისთვის. აი, უკვე ვინ დაიწყო ომი, ზუსტი პასუხი არ ვიცით.

**— როგორი იქნება ჩვენი შემდგომი ცხოვრება? სახალხო დამცველის მემორანდუმს თქვენც შეუერთდით. ანუ, არ გჯერათ ის, რასაც ხელისუფლება ამბობს. როგორ განვითარდება მოვლენები ომის შემდეგ?**

— მე მგონია, საჭიროა სერიოზული ცვლილებები ქვეყანაში. არ ვამბობ, რომ საჭიროა პრეზიდენტის შეცვლა იმიტომ, რომ ვიცი, რუსეთიდან არსებობს სერიოზული საფრთხე. რუსეთმა ყველანაირად აჩვენა, რომ დაინტერესებულია საქართველოთი და კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის შეცვლით. ამას ისინი არ მალავენ და ყოველდღიურად აცხადებენ.

დღეს საზოგადოების მოთხოვნით რომც მოხდეს საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, არავინ არ იცის, ვინ მოიგებს არჩევნებს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნა ქვეყნის ძალიან დიდი რისკის ქვეშ დაყენება იქნებოდა. ვშიშობ, ეს არ მოხდეს. დღეს რომ პრორუსული პრეზიდენტი დავსვათ ტრაგედია იქნება.

სამაგიეროდ, არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ოღონდ ეს არ უნდა იყოს ისეთი არჩევნები, როგორიც 21 მაისს ჩატარდა.

პირველი, რაც უნდა მოხდეს, სანამ არჩევნები დაინიშნება და სხვა სერიოზული ცვლილებები განხორციელდება, მაგ: დამოუკიდებელი სასამართლო, თვითმმართველობები და ა.შ. ტელემედია უნდა გახდეს თავისუფალი, ამას არ სჭირდება დრო, სჭირდება მხოლოდ პოლიტიკური ნება. როგორც კი იქნება ასეთი ნება, დარწმუნებული ვარ, ჩვენი კოლეგები იმ დღესვე დაიწყებენ სხვანაირად მუშაობას.

**— ანუ, დღეს ისინი ტენდენციურები, არიან მაგრამ პოლიტიკური ნების შემთხვევაში ობიექტურები გახდებიან?**

— რა თქმა უნდა. ყველა შეიძლება ამისკენ არ არის მოწოდებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრს უხდება საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასვლა.

იცით თუ არა ჟურნალისტების გვარები, რომლებიც დღეს არიან ჩართული ამ „ხორცსაკეპ მანქანაში“. საზოგადოებამ არ იცის მათი გვარები. არ შეიძლება, ჟურნალისტიკაში ვარსკვლავი გახდე, თუ დღევანდელ ტელევიზიაში მუშაობ იმიტომ, რომ დღევანდელი ტელევიზია გკლავს, როგორც პროფესიონალს.

დღეს გვაქვს ისეთი რეალობა, როცა ჟურნალისტები არიან აგიტატორები, ვიდრე საზოგადოების ინტერესების დამცველნი.

**— ალბათ, წაიკითხავდით ეროსი კიწმარიშვილის აღიარებას წარსულის შეცდომების, განსაკუთრებით მედიის თავისუფლებისა და „რუსთავი-2“-ში განვითარებული ტენდენციების შესახებ, თქვენი აზრით, ეს ყველაფერი რას მოასწავებს, რის მიღწევას ცდილობს კიწმარიშვილი?**

— ყველა გრძნობს, რომ ამ ქვეყანაში ცვლილებები აუცილებლად მოხდება პოლიტიკურ ასპარეზზეც და ხელისუფლებაშიც.

**— იქნება კი?**

— აუცილებლად. იმიტომ, რომ თუ ეს ვერ შეძლო საზოგადოებამ და დარჩა იგივე პარლამენტი, მთავრობა, ეს ნიშნავს, რომ მშვიდად ვეგუებით ქვეყნის უკუსვლას, თუ აქამდე დე ფაქტოდ დაკარგა ტერიტორიები შევარდნაძემ, ახლა ჩვენი ქვეყნის რეალური და დოკუმენტური საზღვარი უფრო მეტად დაშორდა ერთმანეთს. შევარდნაძეს თუ ეპატია ტერიტორიების დაკარგვა, სააკაშვილსაც უნდა ეპატიოს, რატომაც არა?! — ეს მცდარი აზრია.

ქვეყანა იმართება კულუარულად, ძალადობრივი მეთოდებით, არასწორად. ამიტომ უნდა ვცადოთ, რომ ქვეყანა უკეთესი გახდეს.

ახლა ყველაფერი ქართულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. შარშან 7 ნოემბერს ხომ აჩვენა და დაადასტურა, რომ მას არ მოსწონს ისეთი ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს. თუმცა ხელისუფლებამ ბევრ ადამიანს შეუქმნა იმის ილუზია, რომ კარგ ქვეყანაში ცხოვრობს. ეს იმიტომ მოხდა, რომ სწორედ თავისუფალი მედია არ არსებობდა, და არ არსებობს.

ცვლილებები იქნება, ამიტომ ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების მიღმა დარჩნენ, ცდილობენ დაჯგუფდნენ და თვითონ იყვნენ პოლიტიკური პროცესის განვითარების ინიციატორები. ერთი ასეთი ცენტრის შექმნას ცდილობს ნინო ბურჯანაძე, შესაძლებელია ასეთი ცენტრის შექმნას ლევან გაჩეჩილაძეც ცდილობდეს, ასევე შეიძლება კიდევ სხვა გამოჩნდეს. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ეროსი კიწმარიშვილი, — ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ან ხელისუფლების ოპოზიციაში უნდა იყვნენ, ან ხელისუფლების წიაღში. მათ პირველი გზა აირჩიეს, რადგან არ უნდათ ჩაიძირონ ხელისუფლების გემთან ერთად და სხვა გემს ეძებენ.

**— რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა თავის გარემოცვასთან ერთად არადემოკრატიული გზით სვლა, აგერ დამარცხეული ომიც მივიღეთ. რას ელოდა ის, გამარჯვებას?...**

— საქმე ის არის, რომ მიხეილ სააკაშვილს, ჩემი აზრით, გამარჯვებულის სინდრომი დაემართა. ეს ნიშნავს, რომ როცა ადამიანი მიაღწევს ერთ გამარჯვებას, მეორეს, მესამეს, შემდგომ მას უჩლუნგდება რეალობის აღქმა და ეჩვენება, რომ შემდეგი გამარჯვებებიც ადვილი მისაღწევია.

ნაციონალურმა მოძრაობამ მართლაც შეძლო ბევრი თვალსაჩინო წარმატების მიღწევა, მაგრამ რის ხარჯზე? რატომ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მქონდეს დენი, თუ არ მექნება თავისუფალი ტელევიზია?! ეს ორი რამ კავშირში არ არის ერთმანეთთან. ამიტომ, ნაცმოძრაობას რაც გაუკეთებია, ისიც წყალში ეყრება. მათ წარმატებებს ისეთი ფონი დაურთეს, რამაც ჩემს თვალში წარმატება დააკნინა.

მეცნიერებაში ცნობილი სინდრომია გამარჯვების სინდრომი. როცა ეს ადამიანს ემართება, მის ტვინში ქიმიური ცვლილებებიც კი ხდება, რომელიც მას უმატებს აგრესიას და სურვილს, რომ დაბრკოლება გადალახოს. ოღონდ პრობლემა ის არის, რომ დაბრკოლებას ჯეროვნად ვერ აფასებს და სწორედ ამ დროს ხდება კრახი. ეწყება ტანჯვა და ვერ იჯერებს დამარცხებას. ამიტომ ამბობენ ნაცმოძრაობაში, რომ 7 ნოემბერი მათთვის წარმატებაა, ამიტომ გვაჯერებენ, რომ ომი მოვიგეთ და თურმე ეს ომიც წარმატებაა.

ის, რაც ცხინვალში მოხდა, იყო ლოგიკური დასასრული „გამარჯვების სინდრომით“ დაავადებული ადამიანისა. რომ არ ყოფილიყო ცხინვალი, ის მოხდებოდა სადმე სხვაგან, თუნდაც პარლამენტის წინ...

ესაუბრა
**თეა მოსია**

---

ხედვა უცხოეთიდან

# ნიკოლაი ზლობინი: შეიარაღება ეფექტიანი მხოლოდ მოკლე დროის პერსპექტივაშია, სტრატეგიული კუთხით კი — ნამდვილი ჩიხი



**— მსოფლიოში დიდი სანავთობო ფორუმები იმართება. რისთვის ტარდება ეს ფორუმები? თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია არც ისე ღიაა....**

— ადამიანები ცდილობენ გაარკვიონ, ამჟამად რამდენი ტონა ნავთობია ბუნებაში, რა ტექნოლოგიები, პროპორციები, დრო და ფულია საჭირო მისი გადამუშავებისთვის. აინტერესებთ, რა იქნება 25 წლის შემდგომ. ეკონომისტები ბჭობენ და ამბობენ, რომ ეს დამოკიდეულია იმაზე, თუ რა ტემპებით განვითარდება ჩინეთის ეკონომიკა, რამდენი ენერგია სჭირდება ჩინეთს. ამაზე დამოკიდებულია ის, თუ რა ეღირება ეს ენერგია, რა ტემპით განვითარდება რუსეთის ეკონომიკა, თავად რუსეთის ეკონომიკას რამდენი ნავთობი და გაზი სჭირდება სამომავლოდ და საზღვარგარეთ რამდენის გაყიდვა შეუძლია. რუსეთი საზღვარგარეთ „გაზპრომის“ იმ გაზს ჰყიდის, რომელიც ორგანიზებულია ნაციონალური ეკონომიკის საზიანოდ, რადგანაც რუსეთის ტერიტორიის 40 პროცენტი გაზიფიცირებული არაა და ამავე დროს გაზის უზარმაზარი რესურსი დასავლეთში ვალუტაზე იყიდება. „გაზპრომი“ მას ძალიან ძვირად აფასებს. ამით იგი პოლიტიკური ფაქტორების გარდა, სხვა დანაკარგის კომპენსირებასაც ახდენს.

**— შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ თუ რუსეთი მილებზე თავის პათოლიგიურ დამოკიდებულებას თავს დააღწევს, მისთვისაც რეალურია დემოკრატიის განვითარების შანსი?**

— რუსეთთან დაკავშირებით სხვადასხვა კონფერენციებზე ამ დრომდე მთავარი სასაუბრო თემა არის — „დაწყევლილი ნავთობი“. ქვეყანა, რომელსაც ბევრი ნავთობი აქვს, განწირულია იყოს მეორე ხარისხის ქვეყანა და ენერგიის წყარო, რადგან იქ ტექნოლოგიები, ეკონომიკა არ მოდერნიზდება და, მითუმეტეს, განვითარებული დემოკრატია არასოდეს დამყარდება, რადგანაც მას არანაირი სტიმული არ ექმნება, რათა პოლიტიკური ინსტიტუტები წინ წასწიოს. მას ხომ ბევრი გაზი და ნავთობი ისედაც აქვს. გამონაკლისია ნორვეგია. როგორც ერთხელ ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „ნორვეგიას გაუმართლა. მან ჯერ ააშენა დემოკრატია და მერე იპოვა ნავთობი, ხოლო რუსეთს არ გაუმართლა, რადგანაც იქ პირიქით მოხდა“. ზოგი ეკონომისტი თვლის, რომ სიტყვათშეთანხმება „დაწყევლილი ნავთობი“ რუსეთის მიმართებაში არასწორი ტერმინია. რომ არა დიდი ფასები ნავთობზე, რუსეთი ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკურად ჩაიკეტებოდა და მას არ ექნებოდა თავისი ატომური ძალების შეანახვა-შენარჩუნების თანხები, პენსიების გადახდის ელემენტარული საშუალება. ამიტომაც რუსეთისთვის ნავთობის გაყიდვის მაღალი ფასები მადლია; სხვები კი ფიქრობენ, რომ მაღალი ფასები ნავთობზე რუსეთის დაღუპვაა.

**— კრიზისებს მილისგან თავისუფალი პოლიტსისტემებიც განიცდიან...**

— დიახ, ბუშს არ შეუძლია უბრძანოს ამერიკულ კომპანიებს, სად ჩადონ ფული და სად - არა. ბიზნესი და დოლარი მსოფლიოს ყველაზე დიდი და მშიშარა ინსტრუმენტია. დოლარი იქითკენ მირბის, სადაც თავს კარგად გრძნობს და მორბის იქიდან, სადაც ცუდადაა. თუ ევრო და დოლარი თავს კარგად არ გრძნობენ საქართველოში, ეს თქვენთვის ძალიან ცუდი სიმპტომია. ქვეყნის ლიდერებმა ერთმანეთი გალურჯებამდე შეიძლება ლანძღონ, მაგრამ ამან ეკონომიკურ ურთიერთობებზე არ უნდა იმოქმედოს.

ბოლო 50 წლის განმავლობაში იაპონია შემთხვევით არ გახდა უამრავი ტექნოლოგიური ინოვაციის ავტორი. მათი გამოგონებები ეყრდნობოდა ტექნოლოგიის მინიმალიზაციას. იაპონია პატარა ქვეყანაა, იქ ყველაფერი პატარაა... ისინი სხედან და ფიქრობენ, თუ როგორ შეიძლება ეს პატარა მაქსიმალურად გამოიყენონ. ამიტომაც მათ ტვინში ბევრი საკითხისადმი ძალიან ეფექტიანი მიდგომა ეპადებათ. ეს ეფექტიანობა იაპონიის ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, სადაც ყველაფერი ისედაც ბევრია, ეკონომიკის განვითარების ინტერნსიურ მეთოდზე გადასვლა ვერავინ შესძლო: ვერც ბოლშევიკებმა, ვერც კაპიტალისტებმა. რუსეთში ყველაფერი ბევრია და უმჯობესია მოიპარო, ვიდრე გამოიგონო. ამიტომ რაც არ უნდა მოიპარო, მაინც დარჩება რაღაც მოსაპარი. კარამზინის სიტყვების არ იყოს: „რუსეთში ქურდობენ და ამით ქვეყანა მხოლოდ მდიდრდებაო“. ამიტომ აიძულო რუსეთი ისე იცხოვროს, როგორც ამერიკა, აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ბევრი რაღაც, რაც მომგებიანია იაპონიაში, აბსოლუტურად წამგებიანია რუსეთში ობიქტური მიზეზების გამო.

**— რა იგულისხმება რუსეთისთვის მთავარ ობიექტურ მიზეზად?**

— კლიმატი. რუსეთი ვერასოდეს იქნება ეფექტიანი სოფლის მეურნეობის ქვეყანა. მოლოდინი იმისა, რომ წელიწადში ჩრდილოეთ ევროპული ძროხის მსგავსად რუსული ძროხა 15 000 ლ. რძეს მოიწველის, წარმოუდგენელია. 3-4 000 ლ. — კიდევ შესაძლებელია... ჰოლანდია თავის ცნობილ ყვავილებს იმიტომ კი არ აწარმოებს, რომ იქ სამუშაო ძალა ძალიან ძვირია, ხოლო პენსია — მაღალი, არამედ იმიტომ, რომ ისინი ამას ყველაზე კარგად აკეთებენ. არსებობს რაღაც ეკონომიკური პირობები, რომელიც წარმოებას ამა თუ იმ ადგილს აჯაჭვავს. მე არ ვსაუბრობ ნავთობსა და გაზზე, რომელიც გეოგრაფიული ზმულებით ხასიათდება. გარდა ამისა არის კულტურა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, პროფესიული ჩვევები, კლიმატი, რელიგია, ტრადიციული განათლების სისტემა, ხელობა. ამიტომაც საკუთარ ქვეყანაში სასარგებლოა აწარმოო ის, რაც მომგებიანია, ხოლო სხვა დანარჩენი — იყიდო. საქართველოს ღვინო და ყველი უკეთესია, ვიდრე რუსეთის. რუსეთში რატომ უნდა ვიწვალოთ? არა ჯობს, რომ ვიყიდოთ? ეს საკითხები არ არის დაკავშირებული სამუშაო ძალასთან. კარგი ლუდის წარმოება იქაა შესაძლებელი, სადაც კარგი წყალია... რაც არ უნდა აკეთო, თუ ცუდი წყალი გაქვს, არაფერი გამოგივა, ამიტომ ჯობს ეს საკითხი მოსაგვარებლად შრომის საერთაშორისო გადანაწილების წესს გადასცე. ხალხი იყიდის იმას, რაც უკეთესია, რაც უფრო იაფია და იყიდის იმ რაიონებში გაკეთებულს, სადაც მისი წარმოება მომგებიანია. რომ დაიწყო რაღაც პროდუქტის წარმოება, 10-ჯერ ძვირი დაგიჯდეს, გახვიდე საერთაშორისო ბაზარზე და იქაც ხომ 10-ჯერ ძვირს დადებ? რა აზრი აქვს? საბჭოთა ეკონომიკაში ამის კეთება შესაძლებელი იყო, ნორმალურ ეკონომიკაში კი — არ შეიძლება.

**— ისრაელს წყლის ქრონიკული პრობლემა აქვს, მაგრამ ჰოლანდიის შემდეგ იგი მეორე ადგილზეა თავისი ყვავილების ხარისხით. არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში გადმწყვეტი კლიმატი იყოს...**

— საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის შეხამება. არ უნდა მოვთხოვოთ რუს გლეხს ევროპული ან იაპონური მიდგომა, როცა 3 თვეში კიდეც უნდა დარგო, მოიყვანო და მოსავალი აიღო, ხოლო დანარჩენი 9 თვე სიცივე და ზამთარია, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ ნაწილში. გამოდის, რომ წელიწადის უმეტეს დროს რუსი გლეხი არაფერს აკეთებს: წევს ღუმელზე და არაყს სვამს. იმ დალოცვილ სამ თვეში კი ნახევრად სიკვდილამდე ისე უნდა იმუშაოს, რომ მონაგარმა დანარჩენი 9 თვე შეინახოს .. ასეთი მუშაობის ციკლი ათწლეულების, საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდება, ამიტომ გამომუშადება გლეხკაცის განსაზღვრული ტიპი, რომელიც გიჟივით მუშაობს, მაგრამ ასეთი ტემპით იგი ვერ იმუშავებს მთელი წელი, მაგალითად, ბიზნეს-დღეებში 8 საათი. იმიტომ, რომ მას ეს გენებში არა აქვს ..

**— თუ ის ევროპელი არაა ...**

— არის ანდაზა: „რუსი გალახე და ის საათს მოიგონებსო“. არსებობს სტერეოტიპი იმისა, რომ რუსი უნდა აიძულო, რომ იმუშაოს. მაგრამ როცა 2-მეტრიანი თოვლია გარშემო, ხოლო უახლოეს სოფლამდე 10 კმ.-ია ცხენით, ბუნებრივია, გამომუშავდება ბუნებრივი პირობების შესაბამისი მუშაკის ეკონომიკური ტიპაჟი. რატომ სვამენ რუსები ამდენ არაყს? იმიტომ, რომ იგი ცოტა ადგილს იკავებს, თანაც ეფექტიანობით ლუდს აჭარბებს. ერთი ბოთლი არაყის დალევა სჯობს, თუ ერთი ყუთი ლუდის? მერე 9 თვე შენს ოჯახთან ერთად ქოხში ზიხარ და ელოდები იმ 3 თვეს... რასაკვირველია, 9 თვე ლუდი ვერ გიშველის. მაშინ მთელი სახლი ლუდით უნდა აავსო. რაც უფრო სამხრეთისკენ, ხმელთაშუაზღვისკენ მივდივართ, არყის სმის კულტურა ნელ-ნელა ქრება და შემოდის ღვინო, რადგან იქ სხვა კლიმატური ციკლია. თუ ჩვენი ცხოვრების ანთროპოლოგიას გადავხედავთ, ბევრი საკითხი ლოგიკური და გასაგები გახდება.

იხ. 4 გვ.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 188.

ხედვა უცხოეთიდან

# ნიკოლაი ზლობინი: შეიარაღება ეფექტიანი მხოლოდ მოკლე დროის პერსპექტივაშია, სტრატეგიული კუთხით კი – ნამდვილი ჩიხი

(მესამე გვერდიდან)

**— ასე არაა პოლიტიკაში. იქ უფრო მეტი მოქნილობა და უპრინციპობაა საჭირო, ვიდრე ეს კლიმატს სჩვევია. თქვენ ხშირად ახსნეებთ მრავალსტანდარტულობასა და მრავალვექტორულობას. ამ ცნებებით აპელირებაც შერჩევითია?**

— მრავალვექტორულობის ფუფენების საშუალება ყველა ქვეყანას არა აქვს. საერთაშორისო სისტემაში ყველა ვექტორის პოვნის მცდელობა ერთნაირად მიახლოებული ანდა ერთნაირად განმანძილებული უნდა იყოს სხვა ძალთა ცენტრებიდან. ამიტომ უნდა ეცადოთ განავითაროთ ურთიერთობები არა რუსეთზე, ამერიკაზე ან ევროკავშირზე მიწებებით, არამედ ურთიერთობების 90 პროცენტი მათ გარეშე ააგოთ. რუსეთი ამერიკასთან, ჩინეთსა და არაბეთის ქვეყნებთან ცდილობს თანამშრომლობას, მაგრამ არც ისე წარმატებით, თუმცა მრავალვექტორულობას ნამდვილად ცდილობს. რაც შეეხება ყბადაღებულ მრავალსტანდარტულობას, მე მისი მომხრე ვარ. პოლიტიკის მშენებლობა ერთი პრინციპიდან გამომდინარეობს: საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესები და არა აქვს მნიშვნელობა მეგობრულია თუ არაა მეგობრული რეჟიმი, ცუდია თუ არაა ცუდია. თუ იგი შენს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება, არცაა საჭირო, რომ გაისარჯო. რუზველტმა ცენტალურ ამერიკელ დიქტატორზე ასე თქვა: „სამოსა ძუკნის შვილია, მაგრამ ის ჩვენი ძუკნის შვილია“. ეს ბაზარია და, გახსოვდეთ, აქ ისეთივე კონკურენციაა. მომგებიანია რაიმეს კეთება? მოდით, ვაკეთოთ... ამერიკა ამაში ნამდვილი ჩემპიონია. მომგებიანია ვინმესთან თანამშრომლობა, მიუხედავად ადამიანის უფლებების მდგომარეობისა? კი, ბატონო, უნდა ითანამშრომლო! აიღეთ ჩინეთისა და ამერიკის კავშირები. ამერიკა ჩინეთთან რამდენიმე მილიარდიან დონეზე თანამშრომლობს. მომგებიანია უზბეკეთთან თანამშრომლობა? მოდით თვალს დავხუჭავთ იმაზე, რაც იქ ხდება. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს ბამბა დასჭირდება, 2-3 საათში უზბეკეთი გადაიქცევა პრორუსულ ქვეყნად, ხოლო რუსეთი – პროუზბეკურად. თუმცაღა რუსეთი ყოველნაირად აკრიტიკებდა უზბეკეთს, რადგანაც უზბეკეთს ამერიკასთან სამხედრო კავშირი აქვს: ავღანეთსა და ერაყში წარმოებული ომის გამო უზბეკეთში ამერიკის ბაზებია განლაგებული. ხომ ხედავთ, ეთიკური და მორალური სტანდარტები აქ არც კი იგულისხმება.

საგარეო პოლიტიკაში რაც უფრო მეტი სტანდარტებით აპელირებენ, იგი უფრო ეფექტიანია. ერთმნიშვნელოვანი სტანდარტები მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსშია: მოკალი – ციხეში გიკრეს თავი, მოიპარე – ჩაჯექი. პოლიტიკაში შეუძლებელია იყენებდე ერთსტანდარტულ გადაწყვეტილებებს. საჭიროა კომბინაციები, სხვადასხვა მიდგომა, ხანდახან ცინიკური დამოკიდებულებაც. „ინგლისს არა ჰყავს მეგობრები და მტრები, ინგლისს აქვს ინტერესები“ ანდა „ინგლისს არა ჰყავს მოკავშირეები ინგლისის არმიისა და ფლოტის გარდა“.

**— საქართველომ 2007 წელს 913 მლნ. ლარი გამოჰყო ჯარისათვის. წელს იგი კვლავ გაიზრდება. როგორ ფიქრობთ, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ჯარის სრულყოფილების თანხა რამდენ ნულს უნდა გაუტოლდეს?**

— გარდამავალი პერიოდის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯარისა და პოლიციის გაძლიერება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა სტრუქტურებისა. თანაც საქართველო ნატოში უნდა შევიდეს და ამაში მას აშშ დაეხმარება. ჯარი ეკონომიკასთანაა დაკავშირებული, იგი ქმნის სამხედრო კომპლექსს, სადაც გარანტირებული ხელფასია. ამავე დროს მთავრობას უნარი აქვს იმოქმედოს ძალიან ბევრ საკითხზე, აკონტროლოს ფულის დინება და გეოპოლიტიკა. სააკაშვილი ფიქრობს, რომ თუ მას რეგიონში და არა მარტო რეგიონში ეყოლება ყველაზე ძლიერი არმია, იგი გადარჩება. იგი იქცევა ისე, როგორადაც მისი მეზობლები: სომხეთი, რომელიც უსაფრთხოების საკითხზე ბევრს მუშაობს და აზერბაიჯანი, რომელიც თავის არმიას აძლიერებს. სამივე რესპუბლიკა ხედავს, რომ სიტუაცია რეგიონში ფეთქებადია, ხოლო ძლიერმა არმიამ მტერი შეიძლება შეაჩეროს. ვფიქრობ, რომ ამაში ლოგიკა არის: არმიის გაძლიერებამ ეკონომიკის ჩავარდნები შეიძლება გაამართლოს. დევიზი ასეთია: „გარშემო მტრები არიან, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მიმართულებით, ამიტომ გვჭირდება ძლიერი ჯარი და, უკაცრავად, თუ სადმე პენსია ვერ გავეცით“. ეს იდეა არც ისე კარგი არგუმენტია, მაგრამ, როგორც წესი, იგი ამომრჩეველს მოისყიდის. პოლიტიკოსების თითოეული თაობა ამას აკეთებს, არმია ხომ ნარკოტიკივითაა, მისი განვითარების შეჩერება შეუძლებელია, რადგანაც მუდმივად საჭიროა მისი გადახალისება, წვრთნა და აღჭურვა. თანამედროვე არმიის შექმნა ფულის დაუსრულებელი ხარჯვაა, რადგანაც მასში უნდა ჩადო ტექნიკა, ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი. ერთის მხრივ, ეს კარგი და მუდმივი სახელმწიფო ბიზნესია და უფრო მარტივია, ვიდრე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. სააკაშვილი ამ საკითხში მარტო არაა. საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა შეიძლება დასჭირდეს რომელიმე დასავლეთის ქვეყანას, რადგანაც დღეს ინტერესი დიდია ახლო აღმოსავლეთის, შავი და კასპიის ზღვისპირეთისა და ენერგომატარებლების მიმართ. საქართველოს ტერიტორია არც ისე შორსაა, მისი გამოყენება ამერიკული თუ ნატოს ჯარებისთვის შეიძლება აეროდრომად, ბაზად, ჰოსპიტლად, სარემონტო სახელოსნოდ, დასასვენებელ ადგილად. სასურველია, რომ ეს ადგილი მაქსიმალურ მაღალ ფასად იყოს გაყიდული. და სააკაშვილი წარსულის სტრატეგიებით მოქმედებს, რაც შეეხება XXI საუკუნის პოლიტიკას, სააკაშვილი არასწორად იქცევა, რადგანაც ეს ფული ჰაერში გადაგდებული რესურსია და ნებისმიერ ვარიანტში ქართველები საომარ ველზე რუსეთთან პაექრობას ვერ შესძლებენ. საქართველო მიმზიდველი უნდა იყოს არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან შეიარაღება ეფექტიანი მხოლოდ მოკლე დროის პერსპექტივაშია, სტრატეგიული კუთხით კი – ნამდვილი ჩიხი.

**— მრავალსტანდარტულ მიდგომებში გაწაფულობის მიუხედავად, ამერიკას კუბა ჰყავს. რატომ ვერ გახდა ფ. კასტრო „ჩვენი ძუკნას შვილი“, მაშინ, როცა კომუნისტური ჩინეთი მისაღებია?**

— კუბა არის ამერიკის პოლიტიკის შეცდომა, რომელიც დაკავშირებულია ცივ ომსა და კარიბის კრიზისთან. ამერიკას ეწყინა 1959 წლის კუბის რევოლუცია, ბატისტას დაცემა... ფიდელი მოვიდა ხელისუფლებაში და ამიტომ აშშ-მა დაკარგა იქ ჩადებული ინვესტიციები. რასაკვირველია, ამერიკა გადაირია. ფიდელი 1959 წლიდან აკაკუნებდა ამერიკელების კარზე, მაგრამ ამაოდ. იგი პირველად მოსკოვის ენაზე მხოლოდ 1961 წელს ალაპარაკდა, მას მერე, რაც იგი ამერიკელებმა არ მიიღეს. აშშ-მა ფიდელი ანტიამერიკელად თავად გახადეს, თავისი სისულელისა და დაკარგული კაპიტალების გამო. ის კომპანიები, რომლებმაც კუბაში კაპიტალი დაკარგეს, ანტიკუბინურ პოლიტიკას ლობირებდნენ. სამაგიეროდ, კასტრო ხრუშოვის მეგობარი გახდა. როცა 1961 წელს კასტრო და ხრუშოვი ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, ისინი იყვნენ 2 ქვეყნის ის ლიდერები, რომელსაც აშშ-ის ვიზა არ ჰქონდათ. ფიდელი ჰავანაში სსრკ-ზე ყურებამდე შეყვარებული დაბრუნდა. ამერიკელებს ეს რომ არ გაეკეთებინათ, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ყველაფერი. მრავალსტანდარტულობის არარსებობამ ამერიკელებს ხელი შეუშალა: იაზროვნეს, როგორც სისხლის სამართალში. ფიდელმა ფული დაუკარგათ, ამიტომაც იგი უნდა განადგურდეს. შედეგად კი აგერ უკვე 50 წელია ამ პოლიტიკას არავისთვის მოაქვს სარგებელი, ხოლო თავის დროზე კინაღამ ომიც კი დაიწყო. სამაგიეროდ კუბელები ამერიკას ეცოდება... არის ამერიკაში კანონი, რომლის მიხედვითაც კუბელი, რომელიც მექსიკის ყურეში ფეხს დაადგამს ამერიკის ქვიშას ამერიკელად ითვლება. საწყალი კუბელები, როგორადაც შეუძლიათ გადაცურავენ ხოლმე ამ ყურეს, რათა ამერიკის მიწას შეეხონ. მათ არ სდევნიან მექსიკელებისგან განსხვავებით, არამედ მიიღებენ როგორც ფიდელის რეჟიმს თავდაღწეულებს. ყველაფერი ეს ცივი ომის დროინდელი სასაცილო ამბებია. ამერიკა შეეჯახა თავის ერთსტანდარტულობას, რის წინააღმდეგაც მთელი თავისი ისტორია იბრძოდა და იბრძვის. როცა აშშ სხვადსხვა რეგიონში თავის ერთსტანდარტულობას ამჟღავნებდა, ამის გამო იგი ყოველთვის აგებდა.

**— საქართველოს დღევანდელ საგარეო პოლიტიკას ნამდვილად ვერ დავარქმევთ მრავალსტანდარტულს. დღეს ძირითადად ნატოს სტანდარტებია აბსოლუტურად გასაგები მიზეზის გამო . .**

— ბევრი ქვეყანაა, რომელიც არანაირ სამხედრო ბლოკში არ ერთიანდება. ყველაფრის მიუხედავად ვთვლი, რომ ამგვარი საომარი გაერთიანებების დრო დიდი ხანია დასრულდა. ვფიქრობ, გარკვეული დროის შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ არანაირი სამხედრო ბლოკი არ იარსებებს. XIX და XX საუკუნის ტექნოლოგიები, გეოგრაფიული ბლოკები და რეგიონალური უსაფრთხოება წარსულს ბარდება. შვეიცარიის ნეიტრალობა იმით კი არ არის განპირობებული, რომ ის არანაირ სამხედრო ბლოკში არ შედის, არამედ იმით, რომ შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებს აგერ უკვე რამდენი ხანია პოლიტიკურად ნეიტრალური პოზიცია უკავიათ, ისინი ზღუდავენ თავიანთ მონაწილეობას საერთაშორისო ცხოვრებაში, თავს გამორიცხავენ პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესიდან, არ მონაწილეობენ ჰუმანიტარულ, მშვიდობისმყოფელობის პროცესში.

**— ეს მათი მრავალვექტორულობაა? სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი?**

— თუნდაც. 50 წლის წინათ ასეთი პოლიტიკა იყო: ჰქონდათ ნეიტრალური ფინანსური პოლიტიკა, ნეიტრალური ბანკი, რომელიც უზრუნველყოფდა სრულ დამოუკიდებლობას ნებისმიერი მთავრობისაგან და ევროპაში მიმდინარე პილიტიკური ცვლილებებისგან. შვეიცარიამ და სხვა ქვეყნებმა დაიწყეს ისეთი ეკონომიკური, ფინანსური სისტემების შექმნა, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციას ითხოვდა. ეს სისტემა თაობიდან თაობაში გადადიოდა და ყველაფერში მონაწილეობდა პოლიტიკის გარდა. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო ამგვარ სისტემას თუნდაც თეორიულად მოუახლოვდა.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ნიუ-იორკი, აშშ.**

სად არის გამოსავალი?

# საქმე ტრიბუნალს უნდა გადაეცეს...

(მეორე გვერდიდან)

ამასთან, მსოფლიოში ავტორიტეტული „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ 2008 წლის 22 აგვისტოს მოხსენებაში დასაბუთებულია აზრი იმის შესახებ, რომ „ეს კრიზისი ასახავს აშშ-ის სერიოზულ შეცდომებს, რაც დაშვებული იქნა საქართველოს ხელისუფლების მიმართ 2004 წლიდან. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამერიკელები ქართულ არმიას წვრთიდნენ და აიარაღებდნენ ისე, რომ არ ჰქონდათ მტკიცე გარანტიები იმისა, ასეთი არმია გამოყენებული არ იქნებოდა ომის დასაწყებად. იმის მაგივრად, რომ ყურადღების კონცენტრაცია დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაზე გადაეტანათ, აშშ-ი ძალზე ხშირად ფოკუსირებას პირადად სააკაშვილის მხარდაჭერაზე ახდენდა, მაშინაც კი, როდესაც მისი ქმედებანი უგუნურებით და ავტორიტარულობით გამოირჩეოდნენ.

**„შვიდ აგვისტოს პირველი შეტევა ქართულმა მხარემ განახორციელა, რუსეთმა მას უპასუხა. ორივე მხარის ბრალით, კონფლიქტის მსხვერპლი 60 ათასზე მეტი ლტოლვილი გახდა,“ — განაცხადა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ვან დენ ბრანდემ.**



**ლონდონის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ცნობილი პროფესორი და ექსპერტი ბილ ბოურინგი თვლის: „რუსეთს სრული სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა დამატებითი ჯარი შეეყვანა სამხრეთ ოსეთში, რადგან სტატუს-კვო სააკაშვილმა დაარღვია. მაგრამ საბრძოლო მოქმედებების გაფართოება არაღიარებული რესპუბლიკის გარეთ ცხადად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს. უფრო მეტი, რუსეთის სამშვიდობოებმა ვერ აღკვეთეს რეგიონში ქართველთა ეთნიკური წმენდა.“**

**სწორედ ამ ასპექტში უნდა გავიგოთ ევროსაბჭოს და პრეზიდენტ ბუშის მიერ რუსეთის როგორც არაპროპორციული აგრესორის შეფასება. რუსეთი რომ შეჩერებულიყო კონფლიქტური ზონის საზღვართან და არ შემოსულიყო დანარჩენი საქართველოს არაკონფლიქტურ ზონაში, მისი ქმედება შეფასდებოდა როგორც პროპორციული და მხოლოდ ქართული მხარე დადანაშაულდებოდა. ახლა საერთაშორისო სამართლის ძალით ორივე დამნაშავეა.**

**ამრიგად, როგორც რუსეთის ისე საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული. ამიტომ, ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორმა უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე ორივე მხარის მიმართ, ჩაატაროს გამოძიება, გამოავლინოს ორივე მხრიდან შეიარაღებული აგრესიის ბრძანების გამცემი პირები და საქმე ტრიბუნალს გადასცეს, სადაც სასამართლო დავის საგანი მხოლოდ ორივე მხარის ბრალის ხარისხი გახდება, რაც ბუნებრივად აისახება სასჯელის ზომაზე. მაგრამ ვერც ერთი მხარე პასუხიმგებლობისგან ვერ განთავისუფლდება. ანალოგიური, თუმცა ოდნავ შერბილებული პოზიცია უკავია იმავე ავტორიტეტულ „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფს“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „რუსეთი და საქართველო უნდა დათანხმდენ, რათა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ გამოძიება ჩაატაროს, რათა მან ომის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევაში ბრალდებულები გამოავლინოს“.**

**რა მივიღეთ შედეგად? შედეგი ცალსახაა: „ხელისუფლების მიერ დაწყებული ომი საქართველოს სრული კატასტროფით შემოუტრიალდა“. (ამონარიდი ბიბისის ანალიტიკური ვებგვერდიდან). საკითხავია, რომელი ჩვენი მეზობლის სტრატეგიული ინტერესებს დაემთხვა ეს შედეგი?!**

***— განა რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას იურიდიული ძალა აქვს?***

**— აფხაზეთში ჩატარდა ეთნიკური წმენდა. ეს არა ერთხელ აღიარა გაერომ. გაერომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ამ ფაქტს გენერალური ასაბლეის 2008 წლის 15 მაისის რეზოლუციაში.**

**მის შემდეგ ე. წ. სამხრეთ ოსეთში ჩაატარდა ეთნიკური წმენდა. ეს ეხლახან პირდაპირ აღიარა ეუთომ.**

**ამრიგად, თუ კი 8 აგვისტომდე კონფლიქტის მხარეები იყვნენ, ერთის მხრივ, საქართველო, და მეორე მხრივ, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, 8 აგვისტოს შემდეგ კონფლიქტის მხარეები არიან მხოლოდ საქართველო და რუსეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტმა რეგიონალურის მაგივრად საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. ამიტომ, რუსეთი როგორც ასევე აგრესორი და კონფლიქტის მხარე იმავე დროს არ შეიძლება იყოს მშვიდობისმყოფელი და მან უნდა დაუყონებლივ დატოვოს კონფლიქტის ზონები და მას ჩაენაცვლოს საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნების სამხედრო პირებით დაკომპლექტებული შეიარაღებული სამშვიდობო ძალები ამ ორ რეგიონში ლტოლვილთა დაბრუნების მიზნით. აქედან გამომდინარე ეუთოს დამკვირვებლების შესაძლებლობანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით ნულის ტოლია.**

**— სად არის გამოსავალი?**

**— დღეს როდესაც ერის არსებობა საფრთხეშია, საქართველოს გადასარჩენად უნდა გამოიყოს ორი მთავარი მიმართულება.**

**1. საგარეო ასპექტში ერზე (და არა პირად აფექტირებულ ამბიციებზე) ორიენტირებული პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები უნდა გაერთიანდნენ ერთი მოთხოვნით: რადგან რუსეთი კონფლიქტის მხარეა, მან უნდა დაუყონებლივ დატოვოს კონფლიქტის ზონები და მას ჩაენაცვლოს საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნების სამხედრო პირებით დაკომპლექტებული შეიარაღებული სამშვიდობო ძალები ამ ორ რეგიონში ლტოლვილთა დაბრუნების მიზნით (ამას საქართველოს მოთავე 52 პროფესორი 2004 წლის 7 ივლისიდან ითხოვს).**

**2. საშინაო ასპექტში ერზე (და არა პირად აფექტირებულ ამბიციებზე) ორიენტირებული პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები და ექსპერტები უნდა გაერთიანდნენ და პარალელეურ რეჟიმში კატეგორიულად უნდა მოითხოვონ უშუალოდ გაეროს და ეუთოს მიერ საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. (ამას ჩვენ 2006 წლის 16 აპრილიდან ვითხოვთ).**

ესაუბრებოდა
**გურამ წიკლაური.**

თვალსაზრისი

# საქართველოში ოპოზიციური აზროვნების მწვავე დეფიციტი, ანუ „მოყვარეს პირში უძრახე“

*ოპოზიციასთან ოპოზიციურობა, რაც ამ წერილს წითელ ხაზად გასდევს, ვინმეს მთიდან მომწყდარი ზვავის მკერდით შეჩერების უმაქნის ჭიდილად რომ არ მოეჩვენოს, თავიდანვე აღვნიშნავ, თემის ძირითადი არსი და შინაარსი, სწორედ ოპოზიციის მხარდაჭერაშია და არა პირიქით.*

*ოღონდ, ოპოზიციას განვიხილავთ არა რაღაც „ქვიშაზე ბალახივით“ აღმოცენებულ უამრავი დასახელების ე. წ. პარტიების მობუნტავე გროვას, როგორსაც თითქმის ორი ათეული წელია მოთმინებით შეჰყურებს ქართული საზოგადოება, არამედ ოპოზიციას მისი სრული და სწორი დეფინიციით, ანუ ოპოზიციას — რეალისტურს და კონსტრუქციულს; ოპოზიციას — ხალხისა და სახელმწიფო ინტერესების გამომხატველი, სახელმწიფოებრივი აზროვნებით გაჯერებული, მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული და არგუმენტირებული სამოქმედო პროგრამითა და გეგმებით; ოპოზიციას, როგორც დემოკრატიის ტყუპისცალს და მას როგორც ქვეყნის მმართველობის ფორმისა და შინაარსის შესატყვისი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების ქვაკუთხედს. ე. ი. ისეთ პოლიტიკურ ოპოზიციას, რომელიც არავითარ შანსს არ დაუტოვებდა და არანაირ გასაქანს არ მისცემდა ხელისუფლებას ოდნავაც კი გადაუხვიოს დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო კურსიდან.*

ვფიქრობ, ასეთი კონსტრუქციის ოპოზიციას მოუსმენს და გაჰყვება ხალხი. სწორედ ასეთი ოპოზიცია იქნება ანგარიშგასაწევი ხელისუფლებისთვისაც და უფრო მეტიც, მხოლოდ ასეთ ოპოზიციას შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია მოვიდეს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში.

თუ ოპოზიციას ასეთი კონსტრუქცია არ აქვს, დიდი ალბათობაა მისგან ქვეყანამ მიიღოს პირად ამბიციებზე დაფუძნებული, ოპოზიციის მანტიაში გახვეული დესტრუქციული ძალა.

ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალისთვის უცხოა უკიდურესი რადიკალიზმი (რაც სისუსტის მაჩვენებელია მხოლოდ), ბუტიაობა ხელისუფლებასთან (რაც პოლიტიკური უკულტურობაა), ინფანტილიზმი (ანუ საკუთარი თავისადმი დაქვეითებული კრიტიკა და სხვისი აზრის უპატივცემულობა), დემაგოგია, ექსცენტრიულობა, პასუხისმგებლობისაგან თავის შორს დაჭერა. აღარაფერი ითქმის ღია ეთერში გამუდმებით ლანძღვაგინებასა და ურცხვ საქციელზე, ცინიზმზე, რითაც სავსე იყო ნოემბრის სამარცხვინო მოვლენები, იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნები, წინა სარჩევნო კამპანია, შემდგომ განვითარებული აქციები თუ მანიფესტაციები, საეთერო გამოსვლები, რასაც არა აქვს დასასრული და ეს იმდენად საშიში ტენდენციებია, როდესაც დესტრუქციულობამდე თითქმის აღარაფერი რჩება.

„ოპოზიცია სუსტია“ — ასეთ შეფასებას აძლევენ ქართულ ოპოზიციას პარტნიორი ქვეყნების ექსპერტები თუ საერთაშორისო დამკვირვებლები. ასეთივეა ზოგი ქართველი პოლიტოლოგისა თუ ექსპერტის შეფასებებიც. ოპოზიციის რეიტინგი დაბალია ქართულ საზოგადოებაშიც. ეს შეფასებები ოპოზიციისადმი მიმართულია არა ჩრდილის მისაყენებლად, არამედ, პირიქით, გამთბარია „მოყვარეს პირში უძრახეს“ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების კეთილი სურვილებით, მაგრამ ესმით რამე? სამწუხაროდ გათვალისწინების სანაცვლოდ მასზე აგრესიულადაც რეაგირებენ. იმდენად დიდია ამ ადამიანებში თვითდაჯერებულობის მანკიერი განცდები, რომ წარმოიდგინეთ, მათ არ შეისმინეს მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძნული შეგონება, რაც თანაბრად გვეხება ყველას— ოპოზიციას, პოზიციას და თითოეულ ადამიანს როცა ბრძანა: „ბუნებრივია რომ, უნდა არსებობდეს განსხვავებული აზრი, მაგრამ თუ იგი ურთიერთდაპირისპირების საგანი ხდება და თუკი იგი ავნებს ქვეყანას, ერს, მაშინ ადამიანმა უნდა დათმოს თავისი პოზიცია“.

საინტერესოა, არის რამე რაციონალური იმაში, როდესაც შენმა ამომრჩეველმა მოგცა მანდატები, შენ კი ისინი დახიო, გაანადგურო და პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად პარლამენტის ნაცვლად ქუჩა აირჩიო. რომელი ჭკუათმყოფელი კაცი მოუწონებს მათ ამ საქციელს, არ ვიცი. აი ეს არის ამპარტავნება, ასე უსმენენ ისინი კეთილისმსურველთა შეგონებას.

მე არავის განვიკითხავ. მხოლოდ ქვეყნის ინტერესები მამოძრავებს და პირდაპირ ვამბობ: ოპოზიციამ ვერ გაართვა თავი საქმეს, ვერ დაუახლოვდა ხალხს, ვერ უთხრა ის მთავარი, რასაც საზოგადოება ჭეშმარიტი პოლიტიკური ოპოზიციისგან ელოდებოდა და ელოდება.

კერძოდ, ოპოზიციის მდარე პოლიტიკურ ხედვაზე მიუთითებს ხელისუფლებისადმი საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდის მიზეზების მხოლოდ სოციალური სიდუხჭირით მონათვლა და გამოსავლის სოციალურ ცხოვრებაში, ანუ კონფლიქტების იერარქიაში ძებნა, ხოლო წაყრუება და მივიწყება ოთხმოცდაათიანი წლების იმ სატანისტური უბედურებებისა და წნეხისა, რამაც თითქმის განადგურების პირას მიიყვანა ზოგადად ქართული საზოგადოების და კერძოდ ერის ეროვნული ცნობიერება.

ოპოზიციას არ ეყო ცოდნა და, რაც მთავარია, პოლიტიკური სიმწიფე იმისათვის, რომ არსებითად გაეცნობიერებინა, თუ რაოდენ შრომატევადია და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს მომზადება იმ რთული პოლიტიკური კამპანიისათვის, როგორიც პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებია. თვითდაჯერებულობის მანკიერი სენით შეპყრობილი, იგი საზოგადოების წინაშე წარსდგა ნაუცბადევად მოფიქრებული, ახლადგამომცხვარი, არადამაჯერებელი პროგრამებით. ასე მაგალითად, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქვეყანას სთავაზობდა საპარლამენტო მმართველობას, მეორე შემთხვევაში კი ასეთად მოიაზრებოდა რეფერენდუმი კონსტიტუციური მონარქიის მმართველობის შესახებ, ანუ სთავაზობდა იმას, რისთვისაც ქვეყანა და ხალხი მზად არ იყო და არც შეიძლება იყოს მზად მრავალი ათეული წელი (თუ მეტი არა). ეს იყო პიარზე გათვლილი, მაგრამ ღრმა პოლიტიკური შეცდომა და ცხადია სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებისადმი ამგვარმა ვოლუნტარისტულ-სუბიექტივისტურმა ფსიქოლოგიამ საზოგადოებაში სამართლიანი უნდობლობა დაბადა.

ოპოზიციას არ ეყო ინტელექტუალური რესურსებიც, როდესაც ხელისუფლების მიმართ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში პოლიტიკური ოპონირების ზოგადად დადგენილ წესს გადაუხვია და დაადგა აგრესიული რადიკალიზმის სუსტ გზას, ანუ მთელი თავისი საქმიანობა დაახარჯა ქვეყნის პირველი პირისადმი საზოგადოებაში სიძულვილის აღძვრის უმაქნის პროპაგანდას, რაც მასვე ბუმერანგად დაუბრუნდა.

ოპოზიცია მოსწყდა რეალობას, ხიბლსა და ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა, როცა დაიჯერა, თითქოს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილო საზოგადოება არჩევნებში მხარს ერთსულოვნად მას დაუჭერდა. იგი ტელეეკრანებიდან ბრტყელ-ბრტყელმა საუბრებმა თუ მანქანების ესკორტით კომფორტული სეირნობით თავის განდიდებამ უფრო გაიტაცა, ვიდრე მოსახლეობასთან უშუალო, პირდაპირი საუბრების გზით სისტემურმა მუშაობამ.

ოპოზიცია ვერ გაერკვა რეალობაში მაშინაც კი, როცა ქუჩაში გამოსულ საზოგადოებას სოციალურ სიდუხჭირეზე უფრო უსამართლობით გამოწვეული ღირსების შელახვის განცდა ახრჩობდა. მას არ ეყო პოლიტიკური ხედვა, ეთქვა და აეხსნა ხალხისთვის ის მთავარი, ის მიზეზი, თუ რამ მიიყვანა ქვეყანა და ხალხი ამ მდგომარეობამდე და რეალურად სად იყო გამოსავალი. ეგონა და დღესაც ირწმუნება: თუ შეიცვლება ქვეყნის პირველი პირი, როგორც იტყვიან, ქვეყანა „ქერის ორმოში“ აღმოჩნდება. აი, ასეთია მათი უსუსური პოლიტიკური ხედვა.

ოპოზიციამ ვერ გამოიყენა ხალხის მხარდაჭერა, აუმხედრდა ყველას და ყველაფერს, ტელევიზიებსაც კი და საბოლოოდ დაკარგა ის, რაც არასდროს არ ჰქონია – ერთსულოვნება.

ოპოზიცია არჩევნებში ორჯერ ზედიზედ წარუმატებლობას, მხოლოდ არჩევნების გაყალბებებით ხსნის და ცდილობს დაარწმუნოს ყველა, თითქოს „გაყალბება არა, გამარჯვებული იყო“. ეს კი იმას ჰგავს, ფალავანმა მოწინააღმდეგე ბეჭებზე როცა გააკრას, ის კი წამოუხტეს და გაჰკიოდეს, მოგვერიე რომ არ ეკრა, გამარჯვებული ვიყავიო. მიზეზების ტყუილად ძიებაში ყოფნა უსუსურობაა. თუ ჭეშმარიტი ოპოზიციონერი ხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

რაც შეეხება გაყალბებას. ეს მართლაც [illegible] ქართულ დემოკრატიაში და მას ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა გაეჭრას. თორემ აი, მაგალითად, დეპუტატობის კანდიდატი (რაც არჩევნები გვახსოვს), რომელიც თავის საარჩევნო კამპანიას ატარებს ფორმულით „მომეცი ხმა და მოგცემ ფულს“, ასეთი პარლამენტარი, თუ ზემოთ რომ ვამბობ, ოპოზიცია, როგორც იტყვიან კიტრადაც არა ღირს. როცა პარლამენტის თუ ოპოზიციის კარი მრავალი ღირსეული ადამიანისთვის დახშულია, და მასზე ხელისუფლება არ რეაგირებს, ასეთი და მსგავსი ვითარება ბადებს საზოგადოებაში უსამართლობის და უნდობლობის განცდას ხელისუფლებისადმი.

ოპოზიციის ორჭოფული პოზიცია სხვა ყველაფერთან ერთად გამოჩნდა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების ეპოქალურ მოვლენასთან დაკავშირებით შეფასებებშიც. მაგ.: ზოგიერთი მათგანის აზრით, თუ რუსეთი საქართველოს დაუკმაყოფილებს მოთხოვნებს, შეიძლება უარი ეთქვა ნატოში გაწევრებაზე. ვფიქრობ ამგვარი აზროვნებაც მკაფიოდ აჩვენებს ოპოზიციის პოლიტიკურ უმწიფრობას.

ყოველმა ადამიანმა, ვინც ორაზროვანია საქართველოს მისწრაფებაში ალიანსში გაწევრებასთან დაკავშირებით, საქართველოში არიან, რუსეთში თუ კიდევ სხვაგან, კარგად უნდა გააცნობიერონ შემდეგი:

საქართველო და ქართველი ერი არასოდეს ყოფილა რუსეთის მტერი, არც არის და არც მომავალში სურს მასთან მტრობა. საქართველოს და ქართველ ერს ყოველთვის ამოძრავებდა და ამოძრავებს სიყვარული და პატივისცემა, მსოფლიოში ულამაზესი ეთნოსის, ჰუმანური, ერთმორწმუნე რუსი ერის მიმართ. საქართველო და ქართველი ერი გულწრფელი და მას სძულს მხოლოდ რუსული შოვინისტური ძალმომრეობითი პოლიტიკა, „ცარისტული“ რუსეთიდან დღემდე რომ არ ალევს ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალებას. აი ამას გაურბის საქართველო.

საქართველო ცივილიზებული ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებით ესწრაფვის არა ომს რუსეთთან, არა მტრობას, არამედ მშვიდობიან თანაარსებობას, როგორც თანასწორი ქვეყანა თანასწორთან. საქართველოს ნატოში გაწევრება რუსეთისთვის არის არა წამგებიანი, არამედ მომგებიანი, რადგან ნატო არის მსოფლიოში სტაბილურობისა და ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტი.

პასუხს მოითხოვს კითხვა – რატომ ვერ ჩამოყალიბდა საქართველოში რეალური პოლიტიკური ოპოზიციური ძალა? სუბიექტურთან ერთად არის ამის ობიექტური გარემოებებიც. აი რაში მდგომარეობს ის.

საზოგადოებას ალბათ ახსოვს, წაგვიკითხავს, გვსმენია და ვიცით იმ ე. წ „პერესტროიკების“ პერიოდში საბჭოთა იმპერიის სათავეში მოსული ახალ „რეფორმატორ-არქიტექტორთა“ მანტიაში გახვეული ე. წ. „застой“-დან „ускорение“-ზე ორიენტირებული მობუნტავე ხელმძღვანელობის მზაკვრული იდეოლოგია გაფაციცებით მუშაობდა, თავისივე გამოგონილი სატანისტური ჩანაფიქრის „ადამიანთა ტვინში“ რევოლუციის მოხდენით, ვითომ „რეფორმების“ ეგიდით, რაც შეიძლება სწრაფად, უპრეცედენტო ნგრევის, ანარქიისა და ქაოსის ქარცეცხლში გაეხვია ქვეყანა და სრულიად უდანაშაულო, გონსმოუსვლელი ხალხი. მხეცური რევანშით გულანთებულმა ე. წ. „პერესტროიჩიკებმა“ ამ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად აამოქმედეს ყველა სატანისტური მექანიზმი.



იხ. 7 გვ.

ინფორმაცია

## ბაღათურიას გადაყენება მოითხოვეს

**პოლიტიკური** გაერთიანება „ქართული დასის“ პოლიტიკური საბჭოს წევრებმა სპეციალურად მოწვეულ სხდომაზე დააყენეს „ქართული დასის“ თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის ჯონდი ბაღათურიას გადაყენების საკითხი.

„ქართული დასის“ პოლიტიკური საბჭოს წევრებმა ჯონდი ბაღათურიას ბრალად წაუყენეს პარტიის ფინანსებისა და მატერიალური ფასეულობების ერთპიროვნულად განკარგვა და შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგინებაში ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებები, ასევე მის მიერ პარტიის წესდების არაერთგზის უხეში დარღვევა.

ვრცლად შემდეგ ნომერში.

პარტიებსა და მოძრაობებში

## სააკაშვილმა არჩილის ფრთიანი გამონათქვამი არ იცის!..

**თურქეთ-საქართველოს** შორის დადებული პრეფერენციული ვაჭრობის ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც ძალაში 1 ნოემბრიდან შედის, ლეიბორისტული პარტიის წევრმა პაატა ჯიბლაძემ საგანგებო კონფერენცია გამართა. მან საგანგაშო ფაქტი უწოდა აღნიშნულ შეთანხმებას და ხელისუფლებას „დაფიქრებისკენ მოუწოდა“.

— თურქეთთან დადებული პრეფერენციული ვაჭრობის ხელშეკრულება, — განაგრძო პაატა ჯიბლაძემ, — კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხალხზე არ ფიქრობს. ეს ხელისუფლება მოწოდებულია იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა და გლეხობა, ჩააგდოს უმძიმეს მდგომარეობაში და მოსახლეობა, ერთხელ და სამუდამოდ, წელში გაწყვიტოს...

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა არ იცის მეფე-პოეტის არჩილის ფრთიანი გამონათქვამი: „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო“...

რაც შეეხება ხელშეკრულების დეტალებს, როგორც კი იგი ძალაში შევა, იმპორტზე დაწესებული საბაჟო გადასახადები სრულად უქმდება, ხოლო სასურსათო საქონელზე გარკვეული გამონაკლისები არსებობს — თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში იმპორტზე საბაჟო გადასახადები შენარჩუნდება პროდუქციის თოთხმეტ სახეობაზე, ხოლო საქართველოდან თურქეთში — საქონლის რვა ჯგუფსა და სასურსათო პროდუქციის ოცდაერთ სახეობაზე, ანუ უპირატესი ხელშეწყობა მაინც თურქეთს აქვს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2006 წელს თურქეთ-საქართველოს შორის ვაჭრობაში ბრუნვამ 648 მილიონი ლარი შეადგინა და აქედან თურქეთის წილი 523 მილიონი იყო, ანუ ჯამური თანხის ოთხმოცდახუთი პროცენტი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ამ ხელშეკრულების შედეგად ჩვენი ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა...

მით უმეტეს, ეს ხელშეკრულება საქართველოდან არ ითვალისწინებს ისეთი სტრატეგიული პროდუქციის ექსპორტს, როგორიცაა ყურძენი, ციტრუსი, ვაშლი და ა.შ. ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ, გამოქვეყნდეს იმ პროდუქციის ნუსხა, რომელსაც საბაჟო-საგადასახადო შეღავათები ეხება, — დასძინა პაატა ჯიბლაძემ.

ჯაბა ჟვანია

№ 189. ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 2008 წელი.

გუშინ, დღეს...

# აღუვსებელი საწყაული,

## ანუ ამაოება ამაოთა



ჩრდილო-კავკასიელთა ბრძოლა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ახალი ძალით გაიშალა შამილის მეთაურობით (1834 წლიდან). შამილი იმამი გახდა და ახალი ძალით მთელი 25 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას. შამილმა მიურიდიზმი სამხედრო-პოლიტიკურ ძალად აქცია. იგი გახდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის შეიხი და მთელი აღმოსავლეთ კავკასიის აღიარებული პოლიტიკური ხელმძღვანელი. შამილს იმედის თვალით უყურებდნენ ინგუშები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ასევე აბაძეხები, შაფსუღები, აფხაზები — ყველა ისინი, ვისი შევიწროება და ნაყოფიერი მიწებიდან აყრაც რუსეთმა დაიწყო. შამილმა მთიან ყარაბაღში პოზიციები გაიმაგრა.

რუსი გენერლები კავკასიის დაპყრობისათვის მუხანათურ ხერხს მიმართავდნენ, დასაყრდენს თვით კავკასიელების წიაღში ეძებდნენ და გულუხვად აჯილდოებდნენ ხანებსა და ბეგებს. რუსეთის ჯართან სისხლიანი შებრძოლებები ჰქონდათ აზერბაიჯანელებსაც. შამილის დაქვემდებარებაში მყოფი მასები რუსების სიძულვილის პროპორციულად იზრდებოდნენ. რუსებმა მოახერხეს შამილის დატყვევება, თუმცა ბრძოლა ჩრდილოკავკასიელებს მაინც არ შეუწყვეტიათ. 1785 წელს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა შეიხი მანსური, 1878 წელს ნოღაელები და ყაბარდოელები აჯანყდნენ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა — რუსეთმა შესძლო თავისი გავლენის გაფართოება. XIX საუკუნეში რუსეთი ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად რუსეთმა შეიერთა აზერბაიჯანი, სომხეთი, დასავლეთი საქართველო. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიაში თავისი მფლობელობა დაამყარა. კავკასია დაიყო გუბერნიებად. 1844 წელს კავკასიაში რუსეთის მეფის ნაცვალი დაინიშნა. სამეფისნაცვლის ცენტრი თბილისი იყო. მეფის ნაცვლები უხეშად ატარებდნენ კავკასიის დაპყრობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, ცხადია, კოლონიური იყო. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ინტერესებს. რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ვერ ეგუებოდნენ კავკასიის ხალხები. ამის ნათელი მაგალითია ის ომები, რასაც 1817-64 წლებში ჰქონდა ადგილი. რუსეთმა მოახერხა კავკასიის დაპყრობა და შეერთება. „კავკასია! რომელი რუსული გული არ გამოეხმაურება ამ სახელს, რომელიც სისხლისმიერაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ისტორიულ, გონებრივ ცხოვრებასთან და რომელიც მეტყველებს განუზომელ მსხვერპლსა და ამავე დროს პოეტურ შთაგონებაზე“ — ეს კავკასიის ომების მკვლევარის ვ. პოტოს გულწრფელი სიტყვებია და აშკარად გამოხატავს იმდროინდელი რუსეთის დამოკიდებულებას კავკასიისადმი. ერთი სიტყვით, რუსეთისათვის კავკასია ყოველთვის სანუკვარი იყო. ეს ინერცია დღემდე გამოჰყვათ და დღემდე, მიუხედავად ახალი ვითარებისა, არ ეთმობათ. რუსეთის კავკასიურ ომებზე მოგვითხრობენ ვ. პოტო და ნ. დუბროვინი, საინტერესო მასალაა დაცული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, თანამედროვე ავტორთა შრომებში.



კავკასიისათვის განსაკუთრებულად მძიმე გამოდგა XX საუკუნეც. უმძიმესი სამამულო ომები და მეთერთმეტე არმია ფაქტობრივად იპყრობენ რეგიონს, განსაკუთრებული სისასტიკით ხდება საქართველოს ანექსია 1921 წელს.

ნიშანდობლივია, რომ კავკასიელთა ომები ძირითადად თავდაცვითი ხასიათისა იყო. მომხდურ მტერს მიზანი სხვადასხვანაირი ჰქონდა: ზოგჯერ ქვეყნისა და ერის ერთიანად ამოგდების სურვილი, ზოგჯერ ნადავლის მოპოვება, გავლენის გაძლიერება თუ სხვ. კავკასიას უდიდესი მსხვერპლის გაღება უხდებოდა: ადამიანების, ტერიტორიების, ნატურალური დოვლათის სახით. იყო შემთხვევები დამარცხებისა, ამა თუ იმ ტერიტორიის დაკარგვისა, ქვეყნის დანგრევა-განადგურებისა. მიუხედავად ამისა, კავკასიის სახელმწიფოები და ხალხები გადარჩნენ.

გადარჩნენ კი?

ჩეჩნეთში დატრიალებული „ცოდვის კალო“ და ბესლანის ტრაგედია — ამის დავიწყება შეუძლებელია, არ გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ კავკასიის ხალხების გადარჩენილობაზე. ამას აგვირგვინებს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის რეგულარული ჯარების მიერ გაუგონარი სისასტიკით (ადამიანთა, მათ შორის მოხუცების, ქალებისა და ბავშვების დახოცვა, მშვიდობიანი ქალაქების, სოფლებისა და ზოგადად მოსახლეობის ძარცვა) საქართველოს დარბევა-ოკუპაცია.

აშკარად გამოჩნდა შეუსაბამობა საერთაშორისო ურთიერთობების იმპერიულ კულტურასა, რომელიც გათვლილია ძველი, ადამიანთა განვითარების დისპერსიულ ეტაპზე და XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის ხარისხობრივად სრულიად ახალ მდგომარეობაზე. ჯერ კიდევ არსებული სოციორეგულაციური კულტურა სრულიად არაადეკვატური აღმოჩნდა ერთიან ურთიერთდამოკიდებული გლობალურ სისტემად კაცობრიობის გარდაქმნის პირობებში.

კავკასიის ხალხთა ცარიზმისა და ტოტალიტარიზმის ორსაუკუნოვანმა ყოფნამ თავისი დაღი დაასვა მათ კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებას. როგორც კი დაინგრა საბჭოთა კავშირი, უმალ 30-მდე კონფლიქტის კერა წარმოიქმნა. ნაყოფიერი მიწების სიმცირე და შრომისუნარიანი მოსახლეობის სიჭარბე, ისტორიული ნაწყენობა, ურთიერთტერიტორიული პრეტენზიები და დეპორტაციის შედეგები კავკასიაში პერმანენტული არასტაბილურობის საფუძვლად იქცა.

კავკასიის რეგიონში წარმოქმნილი მძიმე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ყოფილი „ცენტრის“ მიერ იყო ინსპირირებული. იმისათვის, რომ რესპუბლიკებზე თავისი გავლენა შეენარჩუნებინა, „ცენტრმა“ ზოგან „ინტერფრონტები“ შექმნა. ზოგან კი მოახერხა რესპუბლიკური ხელისუფლებისათვის ავტონომიების დაპირისპირება. რუსეთის ცალკეული საპარლამენტო ჯგუფები აქტიურ ანტიქართულ საქმიანობას ეწევიან აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. სამწუხაროდ, ეთნოკონფლიქტები ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა (2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე ზემოთ გვქონდა საუბარი). 1988 წელს დაიწყო და გრძელდება სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბახის გამო. ყოველივე ამან კავკასიის ქვეყნების ეკონომიკა დააზარალა, ასობით ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა.

კავკასიელებმა უნდა გაითვალისწინონ წარსულის გაკვეთილები, როცა 1918-1921 წლებში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებობდა და, როცა ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ აქ თავისი პროტექტორატის განხორციელება მოინდომეს. სწორედ შინა ომებისა და ეთნოკონფლიქტების გამო მათ უარი თქვეს განზრახვაზე. ამ დროს რუსეთმა ყველაფერი გააკეთა სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისათვის.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიკვეთა ეროვნებათშორისი კონფლიქტების რეგულირება-მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობა. უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახა ყველა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოსადმი; შესაბამისად დაგმობილ იქნა რუსეთის აგრესია და მისი შედეგები (ქვეყნის ფაქტობრივი ოკუპაცია, ადამიანთა მსხვერპლი, ძარცვა და ნგრევა) საქართველოში.

* * *

დღეს, როცა საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სახელმწიფოა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის, ევროსაბჭოს წევრია და ილვწის ევროკავშირში შესვლისათვის, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ესაა: ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურება, კულტურული წინსვლა, ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა და სხვ. საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ (ევროპა, აშშ) თვალნათელია.

რა ვითარებაა თვით დასავლეთში — ევროპასა და აშშ-ში?

XXI საუკუნემ თავისი კორექტივები შეიტანა მათი მდგომარეობის შეფასებაში. დრომ გარკვეულად შეცვალა ვითარება. თუ 50-60 წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავალი 2-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპისას, იაპონიისას კი 5-ჯერ, ამჯერად იგი გაუთანაბრდა ევროკავშირში შემავალი ქვეყნების შემოსავალს, იაპონიისას კი მხოლოდ 2-ჯერ აღემატება. აშშ-ს განუსაზღვრელი პოლიტიკური სიძლიერეც რამდენადმე შესუსტდა.

დღევანდელი ევროპა, რომლის საგარეო პოლიტიკა აქტიური და მიზანსწრაფულია, წარმატებული კონტინენტია. ევროპული ქვეყნების ეკონომიკა ამერიკის შეერთებული შტატებისას დაეწია. ევროპა დაეხმარა მთელ რიგ ქვეყნებს გადაელახათ დიქტატორული რეჟიმები და აეშენებიათ დემოკრატიული საზოგადოება.

XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესების შეცნობისათვის აუცილებელია გადავხედოთ ადამიანთა მსოფლგაგებასაც. ისეთი ზესახელმწიფოებიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, აღარ შეიძლება შეფასდეს ყოვლისშემძლედ. ამას ადასტურებს ისტორიის მსვლელობა, ანალიტიკოსებს XXI საუკუნე — ევროპის საუკუნედ მიაჩნიათ. მათივე დაკვირვებით, ევროპის კავშირი ხასიათდება მოცულობის სიფართოვით და სიღრმით: ხვდებიან თუ არა მისი გავლენის ქვეშ, ქვეყნები იცვლებიან. ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე ევროპა შეფარებული იყო ამერიკული უსაფრთხოების საშუალებებზე და სწორედ ამ პერიოდში შექმნა დემოკრატიული თანასაზოგადოება. ევროპამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბაზრო ეკონომიკის გაფართოებას, ბევრი პარამეტრით მიმზიდველი გახადა ევროკავშირის წევრობა და ამ კავშირთან თანამშრომლობა. სახელმწიფოს მოწყობის ევროპული მოდელი მოხერხებული გამოჩნდა ბევრი სახელმწიფოსათვის — იგი კეთილდღეობის გაზრდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტად გამოჩნდა.

თუკი მსოფლიო რუკას დავხედავთ, აშკარად შევიცნობთ ევროპული გავლენის სფეროს სიფართოვეს, რომელიც ირლანდიის დასავლეთი სანაპიროდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთამდე, ჩრდილოეთის პოლარული წრიდან გიბრალტარის სრუტემდე ვრცელდება. სტატისტიკოსები ევროპის გავლენის სფეროში, ე.წ. „ევროსფეროში“, 2 მილიარდ კაცს, ანუ დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედს ითვლიან.

ევროპის (ევროკავშირის) ძალა არ განიზომება სამხედრო ბიუჯეტის სიდიდით, არც მაღალი კლასის რაკეტული ტექნოლოგიებით. იგი არ არის გამიზნული მცირე გამარჯვებების მოპოვებისა და ამით მიღწეულ ტკბობაზე. ეს ძალა საკმაო ხანია რაც არსებობს და მიმართულია სამყაროს გარდაქმნისკენ. ჰქმნის რა საერთო სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნული ინსტიტუტების საშუალებით, ევროპა თავის გავლენას იმგვარად ავრცელებს, რომ არ ხდება მტრულად მოქმედების ობიექტი. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომლის ყველა სამხედრო ბაზა, საელჩო თუ სხვა დაწესებულება ტერორისტების სამიზნედაა ქცეული, ევროპა მოკრძალებულად დგას ჩრდილში და საკუთარ საქმეს აკეთებს — აფართოებს თავისი გავლენის სფეროებს მთელს მსოფლიოში.

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას ევროპელების ინტერესების სფეროშია არა მათი გეოპოლიტიკური მიმართულებები, არამედ ის, თუ რა ღირებულებებს უჭერს მხარს ესა თუ ის სახელმწიფო, როგორია მისი კონსტიტუციონალური სისტემა და საკანონმდებლო ბაზა. ნიშანდობლივია, რომ ევროპა (ევროკავშირი) გავლენას არ ავრცელებს მუქარით, როგორც ეს ზესახელმწიფოებს ახასიათებთ. ევროპის სოციალური მოდელი უზრუნველყოფს ადამიანებისათვის დროსა და დასვენების საშუალებას, განასახიერებს ენერგიისა და თავისუფლების სინთეზს, აქედან გამომდინარე ლიბერალიზმს — სტაბილურობითა და კეთილდღეობით (ეს სოციალური დემოკრატიის წყალობაა).

**როინ მეტრეველი,**
**აკადემიკოსი**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 188.**

კერძო აზრი

# პეტრე მამრაძე:
# შეცდომების რესურსი მთლიანად ამოვწურეთ!



**„გადაეცით მათ, შავი ჯიპებით რომ დაჰქრიან აქეთ-იქით, რომ რასაც სოზარ სუბარი ამბობს — ყველაფერი მართალია და ჯობია დროზე მიხედონ საქმეს!“ აი ასეთი შინაარსის „გზავნილი“ (მცირე სტილისტური და ექსპრესიული განსხვავებებით) მივიღე ამ დღეებში მრავალი ადამიანისგან. მე კი ვფიქრობ, რომ მთავარია მთელმა საზოგადოებამ, კეთილი ნების ყველა ადამიანმა, ყველა ერისკაცმა, სალად, ობიექტურად გაანალიზოს არსებული ვითარება და სწორი დასკვნაც გამოიტანოს.**

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ შეცდომების დაშვების რესურსი მთლიანად ამოვწურეთ და აწი ნებისმიერ შეცდომას შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისთვის. სწორედ ასეთი კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ ჩვენს ნებისმიერ ქმედებას.

დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარება. ეს კი ნიშნავს, რომ უმოკლეს დროში სხვა დონეზე უნდა ავიყვანოთ კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სასამართლოების დამოუკიდებლობა, დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობისათვის კუთვნილი ფუნქციების გადაცემა და ა.შ.

რეალური (და არა იმიტაციური ან კოსმეტიკური) ნაბიჯები ამ მიმართულებით ახლავე უნდა გადავდგათ, თან ისე, რომ ეს ჩვენი საზოგადოებისთვის და ჩვენი უცხოელი მოკავშირეებისთვის დამსახურებულად დამაჯერებელი იყოს. მეტი თავისუფლება და დემოკრატია უპირველეს ყოვლისა იმიტომ გვჭირდება, რომ ეს ის ძირითადი ფასეულობებია, რომელთა გარეშე შეუძლებელია პიროვნების სრულყოფილი რეალიზაცია და ღირსეული სიცოცხლე, ასევე შეუძლებელია სტაბილური ეკონომიკური ზრდა. ჩვენს დღევანდელ ვითარებაში ამ არგუმენტებს ემატება ის, რომ ზემოთ ხსენებული ნაბიჯების დროულად გადადგმის გარეშე ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ პოლიტიკურ სტაბილურობას. ამას კი სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს.

ჯერ ერთი, ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი და აქტიური ნაწილის მოთხოვნილება ამ მხრივ ისეთია, რომ თუ ის დროზე არ დაკმაყოფილდა, ახლო მომავალში მასობრივ პროტესტებსა და მიტინგებს თავიდან ვერ ავიცილებთ. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მხოლოდ ამ ნაბიჯების გადადგომით, შეიძლება მკვეთრად გაუმჯობესდეს სახელმწიფო მართვის ხარისხი და შემცირდეს საბედისწერო შეცდომების დაშვების (და შესაბამისად, დესტაბილიზაციის) ალბათობა. ვფიქრობ, ყველასთვის აშკარაა, რომ ჩვენ ახლა ვარსებობთ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების წყალობით. პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე, ეს დახმარება პრაქტიკულად შეწყდება, მას რუსეთის ჩეკისტური ხელისუფლების „ქმედითი დახმარება“ ჩაანაცვლებს და ყველას უნდა ესმოდეს, რა მოჰყვება ამას.

## ისევ 7 ნოემბერი – 2?!*

სწორედ ასეთი კუთხით უნდა განვიხილოთ მასობრივი საპროტესტო აქციების მოწყობის ნებისმიერი გეგმა, იქნება ეს შარშანდელი 7 ნოემბრის წლისთავის „აღნიშვნა“, თუ სხვა. მასობრივ მიტინგებზე გარდაუვალია პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაცია. ჩვენ ამის მდიდარი და მწარე გამოცდილება გვაქვს! შარშან, ჯერ კიდევ 2 ნოემბრამდე მომეცა საშუალება გამოვსულიყავი ტელევიზიით და ამეხსნა, რომ რა მოთხოვნებით არ უნდა დაიწყოს მიტინგი, ის აუცილებლად გადაიზრდება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაში და მიტინგის სათავეში ის რადიკალი „პოლიტიკოსები“ მოექცევიან, ვისაც თვითონ უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამისთვის, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მზად არიან გაწირონ ჩვენი ხალხის ინტერესები. ისიც უნდა გვესმოდეს, რომ თუ გაიმართება მასობრივი საპროტესტო აქციები და ამ დროს ხელისუფლებას უმტყუნებს ნერვები და მოთმინება და გამოიყენებს ძალას (მეტად თუ ნაკლებად ლეგიტიმურს, ჭარბს თუ ადეკვატურს, სულერთია), მაშინ რუსული შეიარაღებული ძალები მყისვე გაჩნდებიან თბილისის ცენტრში (პირდაპირ „ციდან ჩამოვარდებიან“), რათა „უზრუნველყონ სტაბილურობა, მშვიდობა, არ დაუშვან ძალადობის გავრცელება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთზე და თვით საყვარელი ქართველი ხალხიც დაიცვან მოძალადე ხელისუფლებისაგან“ (გავიხსენოთ, რომ თავისი „რეტრანსლატორის) მედვედევის პირით პუტინმა უკვე გამოაცხადა, რომ „ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას“(!!).

ასეთი სცენარების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია (თუმცა არასაკმარისი) სამოქალაქო საზოგადოების მკვეთრი გააქტიურება. ნებისმიერი ხელისუფლება კორუმპირებულია და მიისწრაფვის იმისკენ, რომ უფრო კორუმპირებული გახდეს. ასევე ნებისმიერი ხელისუფლება მიისწრაფვის იმისკენ, რომ კიდევ უფრო მეტი ძალაუფლება, მეტი კონტროლის საშუალება მოიპოვოს. ასეთია ხელისუფლების ბუნება ყველგან და ყოველთვის, მათ შორის დემოკრატიისა და თავისუფლების ყველაზე უფრო მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნებში. ხელისუფლებაში მყოფი ცალკეული იდეალისტების შემართება, თუნდაც გმირული მოქმედება, ვერ ცვლის ხელისუფლების ამ ბუნებას და ვერ ქმნის ამინდს. „ნებისმიერი ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“ — ლორდ აქტონის მიერ ჩამოყალიბებული ეს უნივერსალური კანონი ისევე ზუსტად მოქმედებს XXI საუკუნეში, როგორც მოქმედებდა ძველ ეგვიპტეში.

იხ. 9 გვ.

* **წერილი** *სათაურით „ისევ 7 ნოემბერი?!“ წლეულს გამოვაქვეყნე, როდესაც პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი ისევ მასობრივი საპროტესტო მიტინგების ორგანიზებას შეუდგა.*

თვალსაზრისი

(მეხუთე გვერდიდან)

კერძოდ: აქ ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივეს ლექი, ანუ დამნაშავეთა სამყარო, აიყვანეს საკუთარი მფარველობის ფრთებქვეშ და გზა გაუხსნეს ხელისუფლების შტოებისაკენ.

სამაგიეროდ ძირს დასცეს და გაათახსირეს ღვთისგან ადამიანისთვის ბოძებული ყველაზე დიდი ღირებულებანი — სინდისი და გონიერება, დაამცირეს და დაამუნჯეს სახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანები და ჩამოაშორეს სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებს.

ბძ ფართოდ გახსნეს გზა ბნელეთისაკენ, ანუ მწვანე შუქი აუნთეს ქვეყანაში შეიარაღებული კრიმინალის ენით აღუწერელ თარეშს, ანარქიას და ნგრევას. წაახალისეს ცოდვის ჩადენა და მიანიჭეს გამართლება.

სამაგიეროდ წყვდიდში მოაქციეს განათლება და მეცნიერება, ომი გამოუცხადეს ჭეშმარიტ ხელოვნებასა და კულტურას. ჩიხში შეიყვანეს მეცნიერება და საერთოდ შემოქმედებითი საქმიანობა, ფასი დაუკარგეს ინტელექტუალურ შრომას. აი ის სატანისტური ბორბალი, რომელიც დღემდე გამალებული ტრიალებს.

აწმყოდაკარგული, მომავლის არმქონე, უმძიმესი ცოდვებით დაავადებული იმპერია კი დაინგრა (ისედაც ხომ ინგრეოდა და კვდებოდა ბუნებრივი სიკვდილი რომ ეცლიათ) და მას არც არავინ მისტირის, მაგრამ რა მივიღეთ ამ „პერესტროიკებისგან“?

მივიღეთ მოჩვენებითი თავისუფლების ილუზიებით შეპყრობილი, ჯანსაღი ცხოვრების წესისგან გაუცხოებული, უსამართლობის განცდით დაღდასმული და დეპრესირებული საზოგადოება.

მივიღეთ შოვინიზმის შხამით კიდევ უფრო დაგესლილი, ბოროტებითა და შურისძიებით აღვსილი პოლიტიკური უკულტურობისა და კორუფციის ჭაობში ღრმად ჩაფლული, აგრესიული რადიკალიზმით დაავადებული, სრულიად უდანაშაულო ადამიანების (ბავშვების, ქალების, უმწეოთა) მიმართ სისასტიკითა და სიძულვილით გამორჩეული, პუტინისეული სამარცხვინო რუსეთი.

მივიღეთ დანგრეული საქართველო და მისი პირმშო ე. წ. „სახელმწიფო საბჭო“ თავისი მზაკვრული „შოკური თერაპიით“. მივიღეთ უმძიმესი ფსიქოლოგიური, ინფორმაციული, მორალური და ზნეობრივი ტერორი. მივიღეთ შეგნებულად თავს მოხვეული აფხაზეთის სამარცხვინო ომი, ათეული ათასობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი, დამცირება, ღირსების აყრა, შიმშილი, ასეულ ათასობით თანამემამულის იძულებით სამშობლოდან გადინება და კიდევ ვის შეუძლია აღწეროს, აწონოს თუ დათვალოს რამდენი სხვა უბედურება. აგო ვინმემ პასუხი? „პერესტროიკის“ სატანისტური ბორბლების უკუღმა ტრიალით ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა.

## საქართველოში ოპოზიციური აზროვნების მწვავე დეფიციტია

აი ასეთ ორომტრიალში, არეულობასა და ქაოსში, ნახევრად შოკში მყოფ დანაგვიანებულ საზოგადოებაში, ერთმანეთის დასწრებით ხელისუფლებაში მოსვლით თავის გადარჩენის შეგნებით „იშვა“ და „ქვიშაზე ბალახივით“ აღმოცენდა უამრავი დასახელების ე. წ. ოპოზიციური თუ არაოპოზიციური პარტია, რაც დღეს მოითხოვს არსებითად განახლებას.

აი ეს შეგნება, ანუ ხელისუფლების ძალადობრივად ხელში ჩაგდების სახელმწიფოებრივად საშიში ტენდენცია სუფევს მუდმივად საქართველოში. საქართველოს არაკეთილმოსურნე (ასეთი კი ძალიან ბევრია) ქვეყნის განვითარების დასამუხრუჭებლად თუ დესტაბილიზაციის ასაგორებლად, იმაზე უფრო ეფექტიან იარაღს ვერ ინატრებდა, ვიდრე ეს არის ქვეყნის მუდმივად გათიშულობის, დაპირისპირებისა და დესტბილიზაციის პირობებში ჩაყენება.

ქართველს და არა მარტო მას, საქართველოში მოსვენებას არ აძლევს შავი ფიქრები, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს საერთო მტრის წისქვილზე წყლის მუდმივად მიშვების ეს სამარცხვინო და საშიში ტენდენცია? როდემდე შეიძლება ცხოვრება ქიშპობისა და სიძულვილის ვითარებაში? რატომ დღემდე ვერ გაერთიანდა ერი?!

ასეთი ვითარება ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს და გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე თითოეული ადამიანი არ მოიკრებს ძალ-ღონეს და არ მიხვდება, რომ თვითონაა ყველაფერი ამის მიზეზი.

ასე შეიძლება გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე ჩვენ ტაშს ვუკრავთ იმას, თუ როგორ მოძღვრავს უგუნური გონიერს, ვიდრე პრიორიტეტი ენიჭება არაჯანსაღი ცხოვრების წესს, ხოლო გამართლება —ცოდვას. ასე შეიძლება გაგრძელდეს მანამ, ვიდრე ქვეყანას არ ექნება დემოკრატიული განვითარების შესატყვისი „საზოგადოების კონსოლიდაციის მწყობრი და მკაფიო იდეოლოგია“.

ასე შეიძლება გაგრძელდეს მანამ, ვიდრე ქვეყანას არ ექნება დემოკრატიული საზოგადოების განვითარების შესატყვისი „საზოგადოების კონსოლიდაციის მწყობრი და მკაფიო იდეოლოგია“.

საქართველო, ღვთის წყალობით, მდიდარია ინტელექტუალური, ანუ გონიერი და ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებით და თანაც ისე უხვად, ბევრ სხვა ქვეყანასაც რომ ეყოფოდა. ალბათ ამიტომაც არის საქართველო მსოფლიოსათვის მიმზიდველი ქვეყანა. კიდევ მინდა გავიმეორო: ხელისუფლება თუ ამ დიდ რესურსს, ამ სინათლით უშრეტ ენერგიას, რომელიც დღეს უქმად ყოფნით ზოგჯერ მთვლემარე, ხანაც მრისხანების მდგომარეობაშია, რაციონალურად გამოიყენებს და ისწავლის ქვეყნის სამსახურში მათი ღირსეულად ჩაყენების ხელოვნებას, არ შეიძლება ქვეყანას საშინაო თუ საგარეო ურთიერთობათა საკითხებში წამოეჭრას რაიმე პრობლემა და ვერ იპოვოს სწორი, ქვეყნისთვის მომგებიანი გამოსავალი.

**ხელისუფლებას ორჯერ ზედიზედ ხალხის უმრავლესობამ, როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის არჩევნებში ლეგიტიმაცია რომ მისცა, ამით დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მაგრამ, ხელისუფლებამ შეიძლება თავადვე დაკარგოს ეს ლეგიტიმაცია, თუ ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში კანონის უზენაესობის შეუქცევადი პრინციპის ცხოვრებაში გატარებას.**

**ყველას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ დემოკრატია დიქტატურაცაა, ოღონდ კანონის დიქტატურა; დემოკრატია დიქტატურაა, ოღონდ უმრავლესობისა უმცირესობაზე და არა პირიქით, როგორც ეს ჩვენში ხდება.**

**დემოკრატია მართვადია. აქედან გამომდინარე ხალხი პრინციპილად მოითხოვს ხელისუფლებისაგან დემოკრატიის დაცვას და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის შესატყვის მტკიცე სახელმწიფოებრივ წესრიგს.**

**ოპოზიცია, რომელიც მუდმივად გაბუტულია ხელისუფლებასთან, განზეა გამდგარი და რადიკალურად დაპირისპირებულ მდგომარეობაშია, ვერასოდეს ვერ აღასრულებს პოლიტიკური ოპოზიციის ფუნქციებს.**

**პირდაპირ უნდა ითქვას: ქვეყანაში დემოკრატიის დაბალი ხარისხი, მართვის საქმეში შეფერხებებით განვითარება თუ ცალკეული შეცდომები ბევრად არის განპირობებული იმითაც, რომ ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური, კონკურენტუნარიანი პარტიები, ანუ არ არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია, რითაც სუნთქავს დემოკრატია. საქართველოში ოპოზიციური აზროვნების, ანუ სახელმწიფოებრივად აზროვნების მწვავე დეფიციტია.**

**დადგა დრო ქართულმა საზოგადოებამ უარი უთხრას ქვეყანაში ბურუსით მოცულ ე.წ. „პარტომანიას“, თითოეულის მოქალაქეობრივი პოზიცია მოითხოვს ყველამ ერთად იფიქროს რეალური, სიცოცხლისუნარიანი, პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბებისათვის. ამ მიზნით მეტად საშური საქმეა ორი, თუნდაც სამი კონკურენტუნარიანი სრულიად ახალი ლიდერებისგან პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება.**

**ამისთვის აუცილებელია ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ: მეცნიერებმა, პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობამ, მთელმა საზოგადოებამ და გაიმართოს ცხოველი მსჯელობა. ვინაიდან ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი პოლიტიკური ოპოზიციური ძალების გარეშე საქართველოში საფრთხეში აღმოჩნდება დემოკრატიული განვითარების პროცესი. ასეთი ქვეყანა და ხალხი კი მუდამ იქნება ბოროტი ძალების ხელყოფის ობიექტი. ქვეყანაში დესტაბილიზაციისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი თუ მყისიერად არ აღიკვეთა და ხალხი კვლავ ქაოსის მდგომარეობაში დარჩა, ალბათ ასეთ ქვეყანას და ხალხს მომავალში არავინ ნორმალურად არ აღიქვამს, სერიოზულად არავინ დაელაპარაკება. ამიტომ ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გაფრთხილება: „ეშმაკი გვყოფს, უფალი გვაერთიანებს“.**

**ზურაბ ბაკურაძე,**
იუსტიციის მრჩეველი

***რედაქციისგან:*** *ბატონი ზურაბ ბაკურაძე ხუთჯერ იყო დანიშნული პროკურორის თანამდებობაზე საკონსტიტუციო ვადით, რაც ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა საქართველოს პროკურატურის ისტორიაში. ასე რომ ბატონ ზურაბს უთუოდ ეთქმის თავისი სიტყვა. ეს სტატია, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, ვფიქრობთ, კეთილად წაადგება როგორც საერთოდ ჩვენს საზოგადოებას, ისე, კერძოდ, ხელისუფლებასაც და ამჟამინდელ ოპოზიციასაც, რომელსაც ნამდვილად აკლია კონსტრუქციულობა. ზ. ბაკურაძის სტატია, ალბათ, აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს, რაც საფუძვლად დაედება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მკითხველის შემდგომ მსჯელობას.*

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში ომის შემდეგ რუსეთი ურთიერთობათა მოწესრიგებას ცდილობს



**რუსეთი შეეცდება დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას საქართველოში კონფლიქტის შემდეგ და ამისთვის განზრახული აქვს დიდი ოდენობით მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მიუხედავად იმ საშიშროებისა, რომ ქვეყანა შევიდა ეკონომიკური შერყევისა და ინფლაციის პერიოდში. ამის შესახებ ორშაბათს განაცხადა დიმიტრი მედვედევის მაღალი რანგის მრჩეველმა.**

იგორ იურგენსის სიტყვებით, ხელისუფლება ცდილობს მისცეს ნიშანი ვითარების გაუმჯობესების შესახებ რუსეთში საქმიანი აქტიურობისთვის იმ მომენტში, როდესაც ლამის ალაფინოს ინვესტორების ნდობა, რაც საქართველოში კონფლიქტის დროს სერიოზულად დაზიანდა ხელისუფლების რიტორიკის „ცივი ომის“ შემდეგ.

რუსეთის საფონდო ბაზარზე გრძელდება ძლიერი დაცემა. რუსეთის სავაჭრო სისტემის ინდექსი ერთ დღეს დაეცა 19,1 პროცენტით. ეს რეკორდული შემცირებაა მისი არსებობის მთელი 13 წლის ისტორიის განმავლობაში. იურგენსმა განაცხადა, რომ რუსეთი შეეჯახა „ტოტალური უნდობლობის არანორმალურ სიტუაციას“.

ინვესტორებს ეშინიათ, რომ გლობალური საფინანსო კრიზისი და ფულადი სახსრების დეფიციტი სერიოზულ დარტყმას მიაყენებს რუსეთის კომპანიებს. ამასთან დაკავშირებით 8 აგვისტოდან 19 სექტემბრამდე პერიოდში მათ რუსეთის ბაზრიდან გაიტანეს 56,7 მილიარდი დოლარი.

პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, აგრეთვე მის წინამორბედს პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს ესმით, რომ მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს ვითარება იმ უცხოელებისთვის, ძირითადად რუსეთის ინვესტორებისთვის, რომლებიც, იურგენსის სიტყვებით, „მეტად შეშინებული არიან“. „დიდი საფინანსო კრიზისი ქვეყნის გარეთ, აგრეთვე ნდობის ურთიერთობის კრიზისი „ცივი ომის“ სტილში ქვეყნის შიგნით – ეს ძალიან ბევრია“.

იურგენსი აცხადებს, რომ რუსეთს ემუქრება „კლასიკური სტაგფლაცია“, როდესაც ინფლაცია რჩება მაღალ დონეზე, მოთხოვნა კი ნელდება. იპოთეკური და სამომხმარებლო დაკრედიტების პირობების გამკაცრება ინფლაციასთან ერთად საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს და სერიოზულ პოლიტიკურ შედეგებს.

იურგენსი სათავეში უდგას ანალიტიკურ ცენტრს, რომელიც კონსულტაციას უწევს პრეზიდენტს. იგი იყო ერთ-ერთი იმ უმცირესობათაგანი, ვინც ამ ზაფხულს აკრიტიკებდა პუტინს მისი თავდასხმისთვის კომპანია „მეჩელზე“ ბრალდებით, რომ იგი ფასებს ზრდის პროდუქციაზე. ამ ბრალდებამ გამოიწვია საინვესტიციო კაპიტალის გადინება იმ შიშით, რომ მას მოჰყვებოდა პოლიტიკური რისკები.

ხელისუფლებამ მოთოკა თავისი რიტორიკა, მაგრამ სავსებით „შეიმჩნევა და მტკიცდება კიდეც ზოგიერთი დიდი გარიგების ხელმოწერით მილსადენების დარგში“. იურგენსს მხედველობაში ჰქონდა გასულ კვირას კომპანია „ე.ონ“-სა და „გაზპრომს“ შორის ხელმოწერილი შეთანხმება.

იურგენსი აღნიშნავს, რომ რუსეთი ამ კვირას შეეცდება განამტკიცოს კავშირი საფრანგეთთან, როდესაც მედვედევი ჩავა ევროპის სამიტზე ევიანში. კერძოდ, მიღებული იქნება ზომები ენერგეტიკულ კომპანია „ტოტალთან“ და სხვა ფრანგულ კორპორაციებთან თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ. კონკრეტული გარიგებათა დასახელებისგან იურგენსმა უარი განაცხადა.

ოთხშაბათს ევიანში თავისი გამოსვლის დროს პრეზიდენტი მედვედევი შეეცდება განამტკიცოს რუსეთის პოზიციები. ამისთვის ის წამოაყენებს წინადადებას ევროპის უშიშროების ახალი სტრუქტურის შესახებ, რომლის მიზანიც იქნება შეცვალოს ჰელსინკის შეთანხმება. რუსეთი ამტკიცებს, რომ ეს შეთანხმებანი კოსოვოს გამოყოფის, აგრეთვე თვითგამოცხადებული ანკლავის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტისა და მისი საზღვრების მახლობლად ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო კომპონენტების განთავსების გეგმების შესახებ, მიუღებელია.

იურგენსის სიტყვებით, რუსეთს აქვს რეზერვი ბანკების ლიკვიდობის შესანარჩუნებლად. ხოლო გასულ კვირას გაცხადებული დაპირება 50 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ საგარეო ვალის რეფინანსებასთან დაკავშირებით გაისმა, როგორც „სიგნალი იმის შესახებ, რომ რუსეთის აქტივები, განსაკუთრებით სტრატეგიული, გადარჩება“.

ძალადობის გამოვლინებებმა საქართველოში ორშაბათს აჩვენეს, თუ რამდენად არასტაბილურია სიტუაცია ამ ქვეყანაში რუსეთთან ომის შემდეგ.

როიტერის სააგენტოს ცნობით, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის მახლობლად სროლების დროს დაიღუპა აფხაზი მესაზღვრე. აფხაზეთის მთავრობამ ამაში ბრალი ქართველ სპეცნაზებს დასდო, თუმცა თბილისი ამას უარყოფს და აღნიშნავს, რომ მას ამ რეგიონში ჯარები არა ჰყავს.

**კეტრინ ბელტონი,**
**ჩარლზ კლოვერი**

FINANCIAL TIMES

---

# პუტინის შეცდომა

**ამჟამად, როდესაც საქართველოს თემა გაზეთების პირველი გვერდებიდან გაქრა, დადგა დრო, ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა დგას ამ ოდნავ შეფერთიანებული პროდასავლური დემოკრატიის ქვეყანაში რუსეთის მასშტაბური შეჭრის უკან.**

აბსოლუტურად ცხადია, რომ რუსეთმა დააჩქარა ეს ომი, იგი მოქმედებდა თავის მიერ დაყენებული თავზე ხელაღებული პირების მეშვეობით. იგი ამძაფრებდა კონფრონტაციას თბილისის წინააღმდეგ ნამდვილი პროვოკაციების განხორციელების გზით. თუ არ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ზიზღს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი, ეს იყო: შურისძიება კოსოვოსთვის და სიგნალი მეზობელი სახელმწიფოების მისამართით ბალტიისპირეთიდან შავ ზღვამდე, რათა მათ შეცვალონ პროდასავლური კურსი.

შეიძლება ერთიც და მეორეც. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ სიგნალმა არ იმუშავა. რუსეთის შეჭრიდან ორი დღის შემდეგ პოლონეთმა ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, თუმცა მანამდე მოლაპარაკების პროცესი გრძელდებოდა თითქმის ორი წელიწადი. ამ ქვეყნებმაც გამოიტანეს რუსეთის ბაზრიდან 35 მილიარდი დოლარის ღირებულების აქციები. მოსაზღვრე ქვეყნებმა აშკარად განაცხადეს, რომ სურთ დასავლეთთან დაახლოება.

რასაკვირველია, პუტინის მიზნებში არ ყოფილა ტრანსატლანტიკური კავშირის განმტკიცება, მაგრამ მან ეს გააკეთა. პუტინისთვის სულერთია კოსოვოელი სერბები, თუ 70 ათასი ოსი, რომლებიც მან მემკვიდრეობად მიიღო. მისი მთავარი მიზანია – კონტროლის გაფართოება ტრანზიტულ ენერგეტიკულ ნავთობსადენებზე, რომლებიც გადის ამ რეგიონებზე. რუსეთმა აშკარად განაცხადა, რომ განახორციელებს დასავლეთის მიერ ნავთობსადენ „ნაბუკოს“ მშენებლობის დაუშვებლობის პოლიტიკას საქართველოს ტერიტორიის გავლით, ვინაიდან ამ გზით ევროპაში გაზი გავა არა რუსეთიდან და მოსკოვი ამ ნაკადს ვერ გააკონტროლებს.

კერძო შენიშვნა: ფართოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, საქართველოში რუსეთის ოპერაცია არ ყოფილა დიდად პროფესიული. არსებული მონაცემებით, რუსების ტანკების 30 პროცენტი დაიმტვრა საზღვრთან მისვლამდე. რუსეთმა დაკარგა 7 თუ 8 თვითმფრინავი. ერთადერთი, რაც მან კარგად გააკეთა და წარმატებით – ესაა ერთდროული კიბერნეტიკული შეტევა ინტერნეტში დისიდენტურ ვებგვერდებზე.



იმ დღეებში გამოაშკარავდა მითი იმის შესახებ, რომ პუტინმა მართვის სადავეები გადასცა ამას წინათ „არჩეულ“ რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს. დღეს რუსეთში წონა მხოლოდ ერთ ხმას აქვს და ეს ხმა პუტინისაა. ენერგორესურსებსა და შესაბამის ნავთობსადენებზე კონტროლი არა მხოლოდ აძლევს პუტინს ზემოქმედების პოლიტიკურ ბერკეტებს, არამედ ეხმარება მის ყოფილ მეგობრებს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან შეავსონ ფულის სკივრები.

პუტინის კლეპტოკრატია – ეს არის მაფიოზური ორგანიზაცია, სადაც ბატონობს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ყველაფერს თავისი ფასი აქვს. იყიდება მომსახურება, პოლიტიკოსები, ლოიალობა. საქართველოსთან დაკავშირებულ შემთხვევაში კი მათ წაიღეს ის, რისი ყიდვაც არ შეეძლოთ.

ევროკავშირის იმედები იმაზე, რომ ენერგეტიკის სფეროში ურთიერთობათა გაფართოება მიგვიყვანს რუსეთის პოლიტიკის შემსუბუქებამდე და აიძულებს მას აღიაროს ევროპული დემოკრატიული ღირებულებანი, აგრეთვე მცდარი აღმოჩნდა. იტალიამ და გერმანიამ დროა შეწყვიტონ თამაში, რომ ასრულებენ პუტინის ნდობით აღჭვილი პირების როლს ევროკავშირში. როგორც სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ელჩმა კეით სმითმა განაცხადა, როდესაც რუსეთის გაზის მონოპოლისტმა „გაზპრომმა“ 2006 წლის იანვარში შეწყვიტა გაზის მიწოდება უკრაინასა და საქართველოში, მან აშკარად უჩვენა ყველას პუტინის მზადყოფნა, გამოიყენოს რუსეთის ენერგეტიკული რესურსები პოლიტიკური ზემოქმედებისთვის. კიდევ ერთი მაგალითი – რუსეთის სამ წელზე მეტი ხნის ბლოკადა ლატვიის ნავთობსადგურ ვენტსპილსზე. ეს ბლოკადა შემოღებული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვმა მოინდომა ნავთობსადგურის სიმძლავრეებზე ერთ-ერთი თავისი კომპანიის ბატონობა. ამის შემდეგ რუსულმა მონოპოლიამ „ტრანსნეფტმა“ აცნობა მეზობელ ლიტვას, რომ იქნებოდა ხანგრძლივი შეფერხება ნავთობის მიწოდებაში მისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისთვის ქალაქ მაჟეიკიაიში, რამაც გამოიწვია ნავთობსადენის „რემონტი“. ყველაფერი როგორ ასე წარმატებულად დაემთხვა ერთმანეთს!

ცხადია, რომ პუტინს ენერგორესურსები მიაჩნია მთავარ ბერკეტად პოლიტიკურ და საფინანსო ზემოქმედებაში. და რამდენადაც დასავლეთმა სუსტი რეაგირება მოახდინა მის შეჭრაზე საქართველოში, მის წინაშე აშკარად წარმოიშვება ცდუნება – გააფართოოს თავისი კონტროლი. და მართალია, ნავთობი და გაზი უკიდურესად მნიშვნელოვანია პუტინის კონტროლის გაძლიერებისთვის, ისინი აგრეთვე შეიძლება გახდნენ მისი სისუსტის წყაროდაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთი აღსავსეა ნავთოდოლარებით, მას სჭირდება ევროკავშირის ფულადი სახსრები თავისი ეკონომიკის დონის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ამის გარდა, მისი ნავთობგაზის ინფრასტრუქტურა ინგრევა და მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას.

შეჭრის შემდეგ საფინანსო ინვესტორებმა გადასინჯეს რისკის ხასიათი, რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთში ბიზნესის წარმოებასთან, და რომელსაც აკონტროლებენ პუტინი და მის მიერ დანიშნული პირები უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან. რუსეთის ქცევის შეცვლის მთავარი გასაღები ბიზნესსა და პოლიტიკაში – ეს არის ნავთობზე ფასის შემცირება.

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს რუსეთის შეჭრას საქართველოში და მხარი დავუჭიროთ სხვა ჩამოყალიბებად დემოკრატიებს რუსეთის პერიმეტრში ბალტიიდან შავ ზღვამდე, საჭიროა მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

– დაჩქარდეს უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმისათვის მზადების პროცესის რეალიზაცია; ხოლო, როდესაც ისინი მიმართავენ შესაბამისი თხოვნით, მიღებულ იქნენ ნატოს წევრებად. ამ დაჩქარების პროცესში შეიძლება ჩართული იქნეს ფინეთი და, აგრეთვე შვედეთი. ახალმა წევრმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან ამ თავდაცვითი ალიანსის პრინციპები. ალიანსში შემსვლელ ქვეყანას არ შეუძლია დაიწყოს შეტევითი სამოქმედო მოქმედებანი იმის იმედით, რომ ნატო მას დაეხმარება. ყველა აღიარებს, რომ უკრაინაში არსებობს მთელი რიგი საშინაო პრობლემები, მაგრამ აქტიურად უნდა დავაჩქაროთ წევრობისათვის მზადების მისი პროცესი და გამოვიყენოთ სხვა სტიმულებიც.

– ევროკავშირმა უნდა მოახდინოს საერთო ენერგეტიკული პოლიტიკის რეალიზაცია და წესად გაიხადოს გაძლიერებული მონოპოლიების მხრიდან კონკურენციის საპირისპირო მოქმედების თავისი წესები.

– ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის მხარდამჭერით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დააჩქაროს თავისი ყოველმხრივი ენერგეტიკული პოლიტიკის რეალიზაცია.

– უნდა გაგრძელდეს საქართველოსთვის სამხედრო, ენერგეტიკული და პოლიტიკური დახმარების გაწევა. ქართულმა არმიამ უნდა სრულყოს თავისი პროფესიული ჩვევები, რათა გახდეს ნატოს სანიმუშო წევრი.

– გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა უარი უნდა თქვას თავის მეტად ძვირადღირებულ პროექტზე ბალტიის ზღვის ფსკერზე ჩრდილოევროპული გაზსადენის მშენებლობის შესახებ, რის შესახებაც პუტინთან მოილაპარაკა მისმა წინამორბედმა გერხარდ შრიოდერმა. ჩრდილოევროპული გაზსადენის „იამალ-1“ – ნაკადის ღირებულება შეადგენს 18,5-დან 30 მილიარდ დოლარამდე, ხოლო ნაკად „იამალ-II-ისა, რომელიც შეიძლება გავიდეს პოლონეთის გავლით – 2,8 მილიარდ დოლარს. რატომ უნდა ვაიძულოთ ევროპელი გადამხდელები შეავსონ პუტინისა და მისი მეგობრების ჯიბეები უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან? მერკელისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძნელი იქნება, მაგრამ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნება.

– უკრაინამ კვლავ უნდა განიხილოს უკვე დიდი ხნის წინათ დაგეგმილი პროექტი, რომელიც გაივლის უკრაინის შავი ზღვის ნავსადგურ ოდესასა და ქალაქ ბროდს შორის, რომელიც პოლონეთის საზღვარზეა. ეს საშუალებას მოგვცემს გადავქაჩოთ ნავთობი ყაზახეთიდან პირდაპირ დასავლეთ ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გახდეს იმ ღონისძიებათა პაკეტის ნაწილი, რომელიც აჩქარებს უკრაინის ნატოში გაწევრების პროცესს.

ჩვენ ბევრი პრობლემა გვაქვს, რომლებიც მოითხოვენ რუსეთთან თანამშრომლობას, მაგრამ ზემოაღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს გადავაგდოთ ბურთი პუტინის მინდვრის ნახევარზე და გავათანაბროთ შანსები ამ თამაშში.

**ჯეიმს ლაიონსი**

The Washington Times

სარედაქციო ფოსტიდან

# დაგვიანებული პასუხი ბელგიელ ქართველს



**ბევრი წერილი მაქვს გამოქვეყნებული პრესაში პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე. არ ვარ ეპისტოლარულ ჟანრში სადღეგრძელოების მოყვარული და, ბუნებრივია, რომ ბევრი ადრესატიც გამომდავებია. ზოგთან ჩავრთულვარ პოლემიკაში, უფრო ხშირად კი დისკუსია უაზრობად ჩამითვლია მეორე მხარის „წონითი კატეგორიის“ გათვალისწინებით. როდესაც ერთმა მეგობარმა „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ დღეებში ჩემზე გამოქვეყნებული სტატია გადმომცა, რამდენიმე დღე საპასუხოდ ვერ მოვიცალე. როგორც ხელმოწერიდან შევიტყვე, ჩემი პროვინციული პერსონით თვით ევროპელი „ბელგიის მოქალაქე“, ბ-ნი ო. ხახაშვილი დაინტერესებულა.**

ღმერთია მოწმე, მხოლოდ ჩემზე რომ შეჩერებულიყო პატივცემული ავტორი თავის წერილში, ნამდვილად ვერ იხილავდა პასუხს, მაგრამ კალამი გაექცა ბ-ნ ხახაშვილს და ლევან ალექსიძესაც გაჰკრა ევროპულად თავაზიანი წკიპურტი. ავტორის კეთილშობილური რისხვა კი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ნებისმიერ საერთაშორისო არენაზე საქართველოს ინტერესების დაცვას ლევან ალექსიძეს უფრო მივანდობდი, ვიდრე ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს. ეს კი, უკვე მე შემინდოს უფალმა და ქ-ნ სალომეს ყველა თაყვანისმცემელმა. ისე კი, თუ ხვდება ეს ულმერთო ევროპელი, რა ბავშვურ დავაში ჩამითრია? საკითხი ეხება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და „საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების“ მიმართვას ხელისუფლებისადმი, რომ ჟენევის მომავალ კონფერენციაზე „საქართველოს წარმომადგენლად“ დაინიშნოს ქ-ნი სალომე.

სხვათა შორის — ამ უწყინარი სურვილი-იდეის ავტორი თვითონ ქ-ნი სალომე გახლდათ „კავკასიის“ ტელეეთერიდან. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამ იდეასაც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები — მადლობა ღმერთს, რომ ნებისმიერი საკუთარი აზრი ჯერ არ იბეგრება ჩვენში სპეციალური გადასახადით.

უბრალოდ, მოკრძალებით შევახსენებ გაევროპელებულ ქართველს, რომ თუმცა მასაც აქვს სრული უფლება ჩვენი საზოგადოების „მოწინავე წარმომადგენლებად“ ჩათვალოს ქ-ნ სალომეს რეკომენდატორები, მაგრამ იგივე ევროპული ზრდილობა მოითხოვდა ასე არაევროპულად არ მიენიშნებინა, რომ ყველა დანარჩენი, ვინც არ აღიარებს ქ-ნ სალომეს, არ შედის „მოწინავე წარმომადგენელთა“ რიცხვში.

თავაზიანი ევროპელი დაწერდა — „მოწინავე წარმომადგენელთა ერთი ნაწილიო“. ისე ევროპელობა მხოლოდ უცხოური პასპორტით არ ამოიწურება. ახლა საგნობრივად: ზრდილი ევროპელი ბ-ნ ხახაშვილზე მეტად დამინდობდა და ასე უმოწყალოდ არ გამითათხავდა ინკოგნიტო „საეჭვო ქალბატონის წისქვილზე“ წყლის მიშვებისთვის. რა დაგიშავეთ ასეთი, ბატონო, რომ ოდნავადაც არ გებრალებით? ცოდო არა ვარ, ასე საქვეყნოდ რომ მჭრით თავს“? რა ვქნა ახლა, ხატზე ვიფიცო, რომ არც ერთ „საეჭვო ქალბატონს“ არ ვიცნობ? ახალგაზრდობაში შეიძლება მართლაც მქონდა ნაცნობობა და, სულო ცოდვილო, ურთიერთობებიც „საეჭვო ყოფაქცევის“ ქალბატონებთან, მაგრამ დღეს ისინი უკლებლივ, პენსიონერი ბებიები არიან და პოლიტიკაშიც ისევე ერკვევიან, როგორც რიგითი ბელგიელები. მითიურ „საეჭვო ქალბატონთან“ რაღაც კავშირს რომ მიკიჟინებთ, ჩემო ბატონო, ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მაინც ჩატეულიყავით. თქვენთვისვე აჯობებდა ასე, თორემ რა გამოდის? მე თუ მას შემდეგ გავხდი „მეწისქვილე“, რაც ქ-ნ სალომეს მინისტრობა დაატოვებინა პრეზიდენტმა და ოპოზიციონერობისაკენ უბიძგა, მაშინ ისიც გეკითხათ ვინმესთვის, თუ როდის დავიწყე ქ-ნ სალომეს კრიტიკა.აი სწორედ მაშინ, მინისტრის სავარძელში რომ იჯდა! არ მომწონდა მისი ხელძღვანელობის სტილი, საკადრო პოლიტიკა, დაუოკებელი თვითდაჯერება და ამპარტავნობა და ღიად ვწერდი ამაზე. სასაცილოდ მიმაჩნდა მისი ეგზოტიკური გადაწყვეტილება ჩოხებში გამოეწყო საქართველოს ელჩები (შემრცხვა, როდესაც ტელეეკრანზე ვიხილეთ, რა ირონიული ღიმილით დაჰყურებდა ლავროვი ჩაჩაჩულ აზიურებსა და ჩოხაში „გაჭედილ“ ჩვენ ელჩს, უშნო სიმბოლოსავით რომ მიაქანქალებდა ფეხებშუა ჩამოკიდებულ ხანჯალს).

არც მაშინ გავჩუმდი, დიპლომატიის ისტორიაში უპრეცედენტო ცირკულარები რომ დაუგზავნა საქართველოს ელჩებს — ორ გვერდზე გრძელი ანგარიშები აღარ გამომიგზავნოთო. შემინდეთ დიდსულოვნად, მაგრამ გავკადნიერდი და კენანის „გრძელი დეპეშა“ შევახსენე ქ-ნ მინისტრს. არც ის დამიტოვებია უკომენტაროდ, ქ-მა მინისტრმა ვენაში ფაქტობრივად რომ ჩაშალა ჩეჩნეთთან საზღვარზე მონიტორინგი. იმითაც დავინტერესდი, თუ რატომ ცდილობდა ქ-ნი მინისტრი, დასანანი სიჯიუტით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაკნინებას? არც ის დავიჯერე, რომ მოსკოვში, ლავროვთან, ინგლისურ ენაზე საუბრის შედეგად (როგორც იმდროინდელი ერთი სამთავრობო ტელეარხი გვარწმუნებდა) გახდა შესაძლებელი საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანა. ეს ხომ ჯერ კიდევ 1999 წელს სტამბოლში გადაწყდა, სადაც, სხვათა შორის, ლევან ალექსიძეც მუშაობდა ამ საკითხზე.

რომელი ერთი ჩამოვთვალო? არ ვიცი, შორეული ბელგიიდან როგორ მოჩანდა, მაგრამ აქაური „ახლომხედველები“ კარგად ვხედავდით, რა მონდომებით ანადგურებდა ორი მინისტრი საკუთარ საკურატორო სფეროებს: ბ-ნი ლომაია განათლებასა და მეცნიერებას, ხოლო ქ-ნი ზურაბიშვილი დიპლომატიურ სამსახურს. შეეკითხეთ საქმეში ჩახედულ ადამიანებს და დეტალურად მოგიყვებიან, თუ რა გულმოდგინებით ცვლიდა ქ-ნი მინისტრი კადრის დიპლომატებს საკუთარი ოჯახის ახლობელი პარიკმახერებით („პარდონ“ — სტილისტებით).

ეგებ დაინტერესდეთ, რა დაუწუნა ქ-მა სალომემ ცოცხალ ლეგენდადქცეულ, უნიკალური ბიოგრაფიის დიპლომატს ბ-ნ ალექსანდრე ჩიკვაიძეს? თუ ჩემს პატივცემულ ოპონენტს ქართულკაცური სინდის-ნამუსი კიდევ შემორჩა, უნდა აღიაროს, რომ „იაღლიში“ მოუვიდა. იმ პერიოდში ხომ „საეჭვო ქალბატონის წისქვილი“, ასეთი არაევროპული სიტლანქით რომ მიანიშნებს, დაპროექტებულიც კი არ ყოფილა?

ერთი სიტყვით, არ მიმაჩნია ქ-ნი სალომე ბრწყინვალე პროფესიონალად და მომკალით ახლა! არც ის მიმაჩნია თავმდაბლობის ნიმუშად, რომ ტელეეკრანიდან ევროპის ნომერ პირველ ექსპერტობას იჩემებდე, თუ ტელევიქტორინაში — „ვინ უკეთ იცნობს ევროპას“? ერთხელ მაინც არ გაგიმარჯვნია. ცნობისთვის: არც დღევანდელი მინისტრი მომწონს, ჩემი აზრით, ისიც სუსტი პროფესიონალია. არ გამიკვირდება, თუ მასაც ეყოლება მხარდამჭერები — შეიძლება უკვე ჰოლანდიის ან გვატემალის მოქალაქეობამიღებული რამდენი ქართველი. რა ვქნა, აღარ ვიცი. ეგებ მეც სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე ვიზრუნო, რომ მკითხველს უფრო დამაჯერებლად ეჩვენოს ჩემი აზრი? სხვა გზა არა მაქვს, ამაზეც უნდა ვიფიქრო. მანამდე კი მზად ვარ ნებისმიერ პროფესიონალს ვეკამათო ქ-ნი სალომეს თაობაზე...

რაც შეეხება ლევან ალექსიძეს, საქმე საქმეზე რომ მიდგეს და საქართველოს დელეგაციას მართლაც მისცენ სრული უფლებები (ფორმატი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ბოლომდე), ეჭვი არ მეპარება, რომ დღეს საქართველოში მცხოვრებ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთაგან, იგი ყველაზე უკეთ დაიცავდა ჩვენს ინტერესებს, თუმცა ეს უკვე ჰიპოთეტური გათვლებია, ვინაიდან ეჭვი მაქვს, რომ ამჯერადაც უჩვენოდ გადაწყვეტენ ჩვენს ბედს. ასევე უაზრობად მიმაჩნია იმაზე დავაც, თუ რა უფრო საჭირო იქნება ჟენევაში: უაქცენტო ფრანგულის თუ საერთაშორისო სამართლის ნორმების ცოდნა? აქ მე უკვე „პასი“ ვარ, არც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ვარ და უაქცენტოდ ფრანგულად კი არა, რუსულადაც ვერ ვლაპარაკობ.

**სოსო ცინცაძე,**
**საქართველოს მოქალაქე**

კერძო აზრი

# პეტრე მამრაძე: შეცდომების რესურსი მთლიანად ამოვწურეთ!

(მეშვიდე გვერდიდან)

შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სათანადო ზეწოლის გარეშე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს იმ რეფორმების გატარებას, რომელიც მის ბუნებას ეწინააღმდეგება. ჩვენს შემთხვევაშიც ეს ზეწოლა აუცილებელია, ოღონდ ის კონსტრუქციული უნდა იყოს და არა დამანგრეველი და საპირისპირო შედეგების გამომწვევი, ანუ ის უნდა შედგებოდეს ცალკეული კონკრეტული და საქმიანი მოთხოვნებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, დამოუკიდებელი ტელევიზიის შექმნა, კონკრეტული კანონების მიღება და მათი სრულყოფილი განხორციელება და ა.შ.

დემოკრატიზაციის აუცილებლობის მესამე მიზეზი არის ის, რომ ჩვენი მოკავშირე დასავლეთი ღიად და მტკიცედ აცხადებს, რომ განაგრძობს ჩვენთვის პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების გაწევას იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გადაუდებლად გადავდგამთ სწორ ნაბიჯებს შემდგომი დემოკრატიზაციისაკენ და თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ეს მოძრაობა ქმედითია და შეუქცევადი, ხოლო რა გველის დასავლეთის დახმარების შეწყვეტის შემთხვევაში, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ჟურნალ „ნიუსვიკში“ მაიკლ ფრიდმანი წერს, რომ ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, როგორიცაა „ფრიდომ ჰაუზი“, უგო ჩავესის ვენესუელისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ მცნობი ნიკარაგუის ტოლი თავისუფლების ინდექსი მიანიჭა საქართველოს, ცნობილი უცხოელი ექსპერტები კი იმას აღნიშნავენ, რომ საქართველოში მმართველი პარტია მთლიანად შეერწყა სახელმწიფო აპარატს (სსრკ-ის კომუნისტური პარტიის მსგავსად).

მრავალი წლის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ჩვენი მოკავშირეები, როგორც წესი, ზუსტ ინფორმაციას ფლობენ ჩვენში არსებული ვითარების თაობაზე. უნდა ითქვას, რომ მოკავშირეებს ჩვენთან არც ელიტური კორუფციის აღზევება არ გამორჩენიათ.

მასობრივ, მე ვიტყოდი, ტოტალურ კორუფციასთან ბრძოლაში ჩვენმა ხელისუფლებამ უმოკლეს დროში უძლიერეს შედეგს მიაღწია და ეს მთელმა მსოფლიომ აღიარა. კორუფციასთან ბრძოლა ჩვენში ახლაც ნამდვილად არ შემწყდარა. მაგრამ აშკარად შეიცვალა საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ხელისუფლების მიერ წარმოებული ამ ბრძოლის მიმართ. როდესაც, რამდენიმე თვის წინათ, კორუფციული გარიგების ბრალდებით დააპატიმრეს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე და რამდენიმე, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი, ყველასგან (!) მესმოდა ერთი და იგივე: რომ ეს ადამიანები სრულიად უმნიშვნელო ფიგურები არიან კორუფციაში, და რომ დაისაჯნენ იმის გამო, რომ „თვითშემოქმედება“ გაბედეს და „დიდი ბოსების“ ნებართვის გარეშე მოქმედებდნენ. ხაზს გავუსვამ, რომ აქ ვსაუბრობ მხოლოდ საზოგადოების განწყობაზე და არა ამ საქმის კონკრეტულ ვითარებაზე, რომელიც, ცხადია, უცნობია ჩემთვის. ბევრ, ძალზე ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ ჩვენში შეიქმნა „ხელშეუხებელთა“ ჯგუფი, რომელთაც ყველაფერი გასდით და რომელთა ნების გარეშე ვერც ერთი მეტ-ნაკლებად მსხვილი ბიზნესი ვერ ხარობს. თავს ვალდებულად მივიჩნევ დავაზუსტო ჩემი პოზიცია. მე არ მაქვს არავითარი მტკიცებულება არც ერთი ადამიანის კორუმპირებულობის შესახებ და სწორედ ამიტომ, ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე, არ ვასახელებ არც ერთ გვარს. მე მხოლოდ ვაფიქსირებ იმას, რასაც ძალზე ბევრი ადამიანი ამბობს დღეს საქართველოში. წინა წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში ყალიბდებოდა მყარი აზრი იმაზე, რომ ესა თუ ის მოხელე კორუმპირებულია, ეს აზრი შემდგომში მართლდებოდა კიდევაც. არც ვარდების რევოლუციის წინა წლებში მქონია იოტისოდენა მტკიცებულება იმისა, რომ ელიტური კორუფციის სიმბოლოებად ქცეული ადამიანები მართლაც კორუმპირებულები იყვნენ. სხვანაირად ვერც იქნებოდა — ელიტური კორუფცია საერთოდ არ ტოვებს ხოლმე დოკუმენტურ კვალს. მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ ყველამ დავინახეთ, როგორ გადაიხადეს ათობით მილიონი დოლარი საპროცესო გარიგებებისათვის სწორედ მათ, ვისაც საზოგადოება წლების განმავლობაში ბრალს სდებდა და ისევ ხალხის აზრს თუ დავუჯერებთ, ამ ასტრონომიული თანხების გადახდის შემდეგაც მილიონერებად დარჩნენ. ერთი მაგალითი „უახლესი ისტორიიდან“: **დაახლოებით ორი წლის განმავლობაში მესმოდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი დიდ ფულს შოულობდა თავდაცვის მინისტრად „მუშაობის“ დროს. იმასაც კი ამბობდნენ, რომ „ასე თუ გააგრძელა, ცოტა ხანში თვით პატარკაციშვილს გაასწრებს სიმდიდრით“. ისიც ვიცით, როგორ განვითარდა მოვლენები და სად ცხოვრობს პრეზიდენტის „ყველაზე დიდი შეცდომა“ დღეს. ამ საკითხზე მსჯელობას ამდენ ადგილს იმიტომ ვუთმობ, რომ სადღეისოდ სწორედ ელიტური კორუფცია არის ძირითადი დაბრკოლება შემდგომი დემოკრატიზაციის გზაზე.** სწორედ ეს ადამიანები ეცდებიან საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მოხსენებაში ნახსენები და შემდეგ გაეროს ტრიბუნიდან გამოცხადებული დემოკრატიზაციის პროგრამა იმიტაციურკოსმეტიკურ რეჟიმში გადაიყვანონ.ამ ადამიანებს ხომ სიკვდილივით არ ენდომებათ არსებული ვითარების შეცვლა, ვინაიდან ეს მათთვის ზემოგების დაკარგვისა და შემდგომ პასუხიმგებლობის საკითხების აღძვრას მოასწავებს...

ასეთ დროს, ოპონენტების შეკითხვებზე და განცხადებებზე კონკრეტული რეაგირებისა და პასუხის გაცემის ნაცვლად, ოპონენტებისათვის „პოლიტიკური იარლიყების“ მიკერება იწყება ხოლმე. ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში რამდენიმე პატიოსანი და გაბედული ადამიანი ცდილობდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისთვის რეალური ვითარების ახსნას. პრაქტიკულად ყველა მათგანს დაბრალდა, რომ ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ, შეეკრნენ ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორებს“, რომლებსაც „ძალაუფლების ხელში ჩაგდება უნდა და სხვა არაფერი“. არადა, ამ ადამიანებს ეს კოშმარულ სიზმრებშიც არ დასიზმრებიათ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი არაბული ქვეყნის პროდასავლურად განწყობილი ლიდერისგან დასავლეთი ითხოვდა შემდგომი დემოკრატიზაციის დაჩქარებას. ამ ლიდერმა დამაჯერებლად აუხსნა თავის მოკავშირეებს, რომ თვითონაც უნდა ეს, მაგრამ მის ქვეყანაში არსებული რეალური ვითარება ისეთია, დემოკრატიზაციის დაჩქარებას დესტაბილიზაცია და ხელისუფლებაში ფუნდამენტალისტი ისლამისტების მოსვლა მოჰყვება. ისევე, როგორც ეს მოხდა რამოდენიმე ქვეყანაში. ცამდე მართალი იყო და მოკავშირეებმაც დაუჯერეს. ჩვენთან საპირისპირო ვითარებაა: ჩვენ არ ვდგავართ დილემის წინაშე, ავირჩიოთ სტაბილურობა ან მის ნაცვლად დესტაბილიზაციის რისკის შემცველი შემდგომი დემოკრატიზაციის რეფორმები (რაც მოიცავს ხელისუფლებაზე სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ზეწოლასაც). **ჩვენი ამოცანაა შევინარჩუნოთ სტაბილურობა, ამისთვის კი სწორედ შემდგომი სწრაფი და მდგრადი დემოკრატიზაცია არის საჭირო. სწორედ ამაზეა დამოკიდებული ახლა ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჭადრაკი

# 90 ათასი ლარი – ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად



**სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციას სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ორგზის ჩემპიონი, 20-მდე საერთაშორისო ტურნირისა და ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული, 1990-1991 წლებში ანატოლი კარპოვთან მსოფლიო ჩემპიონობისთვის მატჩისას გარი კასპაროვის მწვრთნელი, ერევნის საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების მე-2 დაფაზე მცირე ბრინჯაოს მედლის მფლობელი, საერთაშორისო დიდოსტატი გია გიორგაძე.**



– ფედერაციაში უამრავი პრობლემა დაგვხვდა, – **გვითხრა ბატონმა გიამ.** – ყველაზე მტკივნეული დაფინანსების საკითხი იყო. წლეულს ბიუჯეტიდან ჩვენს ფედერაციას 100 ათასი ლარი გამოეყო, რაც ძალიან ცოტაა, რადგან უამრავ მნიშვნელოვან ტურნირში უნდა გვეასპარეზა. უმთავრესი, ცხადია, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაა, რომელიც 12-დან 25 ნოემბრამდე დრეზდენში გაიმართება. უპირველესად, სწორედ, ეს პრობლემა მოვაგვარეთ – ოლიმპიადისთვის ცალკე ხარჯთაღრიცხვა შევადგინეთ და სპორტის დეპარტამენტის აქტიური მხარდაჭერით სახელმწიფომ დამატებით 90 ათასი ლარი მოგვცა. ეს თანხა საკმარისია საიმისოდ, რომ ჩვენი მოჭადრაკეები შეჯიბრებისთვის ნაყოფიერად მოემზადონ. ისინი საწვრთნელ შეკრებას ბაკურიანში გაივლიან. ქალთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში გამოვლენ მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი და სოფიო ხუხაშვილი (კაპიტანი – ნინო გურიელიძ, ტრადიციულად, საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს, ვაჟებს – ბაადურ ჯობავას, ზვიად იზორიას, მიხეილ მჭედლიშვილს, ლევან ფანცულაიას და დავით არუთინიანს (კაპიტანი – ზურაბ სტურუაძ ათეულში შეუძლიათ ადგილის დაზევება. მათთან მწვრთნელად ხვიჩა სუპატაშვილი იმუშავებს, ქალებთან კი – ახალგაზრდა მოჭადრაკე თორნიკე სანიკიძე, რომელიც თეორიის კარგი მცოდნეა.

**– ზვიად იზორია კარგა ხანია, საქართველოში არ იმყოფება. მისი თამაში სათუო ხომ არ იქნება?**

– ინტენსიური მოლაპარაკებით მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ იგი ეროვნულ ნაკრებში ითამაშებს. მართალია, ბოლო დროს დიდ ტურნირებში არ უასპარეზია, რეიტინგითაც დაქვეითდა, თუმცა გუნდისთვის მაინც საიმედო ძალაა, რადგან კარგი თეორიული ცოდნა და სათამაშო გამოცდილებაც აქვს. ახლა ოლიმპიადისთვის ინტენსიურად ემზადება.

**– სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე ჩვენმა ორმა წარმომადგენელმა ჩემპიონობა მოიპოვა. შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

– ასეთი დონის შეჯიბრებაზე ორი ოქროს მედალი ნამდვილად კარგი მაჩვენებელია: თოთხმეტწლიანებში მერი არაბიძემ, თექვსმეტწლიანებში კი ნაზი პაიკიძემ გვასახელა. ბოლო ტურში რამდენიმე მოჭადრაკეს შანსი ხელიდან რომ არ გაეშვა, ჯილდოების რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა. ამის მიუხედავად, საერთო გუნდურ მესამე ადგილზე მაინც გავედით. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გოგონები და ვაჟები უფრო ხელდამშვენებული დაგვიბრუნდებიან მსოფლიო პირველობიდან, რომელსაც 17-დან 31 ოქტომბრის ჩათვლით ვიეტნამი უმასპინძლებს. მართალია, შორეული მგზავრობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ რამდენიმე სერიოზულ სპონსორს მოველაპარაკეთ და შეჯიბრებაზე საქართველოს 15-კაციანი დელეგაცია გაემგზავრება.

**– თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ტურნირზე რას იტყვით?**

– მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თანადგომისთვის მადლობა ვუთხრა კომპანია „იჯი“ ჯგუფს, რომელმაც ეს ტურნირი დააფინანსა. საგულისხმოა, რომ ფულადი ჯილდოები არა მარტო პრიზიორებს, არამედ მათ მწვრთნელებსაც შეხვდებათ. შეჯიბრებაში ის მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც ვიეტნამში იასპარეზებენ. ამდენად, მსოფლიო პირველობის წინ სასარგებლო მოთელვა გამოუვათ.

**– სამომავლოდ რას აპირებთ?**

– ამას წინათ იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ავირჩიეთ – ძველი მოჭადრაკე და ბრძენთა თამაშზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება კახა წურალიძე, რომელიც სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელია. მისი დახმარებით უწინაც არაერთი ღონისძიება გაგვიმართავს. ნოემბერში ქუთაისი მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებას უმასპინძლებს – ჭადრაკის დიდი ზეიმი იქნება. ამგვარი ტურნირები უნდა ვამრავლოთ საქართველოში, რათა საშეჯიბრო პრაქტიკის ვაკუუმი შევავსოთ. უკვე მოველაპარაკე რამდენიმე შეძლებულ კომპანიას, რომლებიც მნიშვნელოვანი შეჯიბრების გამართვით არიან დაინტერესებული. საერთაშორისო კალენდარში თავისუფალ დროს ვეძებთ, რომ თბილისში მსოფლიოს წამყვანმა დიდოსტატებმაც მიიღონ მონაწილეობა. შემდეგ ეს ტურნირი ტრადიციული გახდება, რაც ჩვენს მოთამაშეებს წინსვლაში დაეხმარება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

ფაქტი

## პოლონელები გადარჩნენ

**დიახ, პოლონეთი გადაურჩა ფიფასა და უეფას მხრიდან მკაცრ სანქციებს, თანაც ამ ორგანიზაციების წევრობა შეინარჩუნა.**

ამ საფეხბურთო ორგანიზაციებმა პოლონეთს ულტიმატუმი წაუყენეს, ვინაიდან იქ გადააყენეს პოლონეთის ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელობა და კავშირის დროებით თავკაცად რობერტ ზავლოცკი დანიშნეს.

ულტიმატუმის ვადის გასვლის ბოლო წუთებში პოლონეთის მთავრობა კომპრომისზე წავიდა, მოელაპარაკა რა ეროვნულ ფედერაციას. სამშაბათიდან ზავლოცკი აღარ უხელმძღვანელებს კავშირს, ხოლო ახალ ხელმძღვანელობას განსაზღვრავს არჩევნები, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გაიმართება ფიფას, უეფასა და მთავრობის მეთვალყურეობით.

– თუკი ხვალ შეასრულებენ დღევანდელ დანაპირებს, – განაცხადა ორშაბათს ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, – ჩვენ ეს ყოველმხრივ გვაკმაყოფილებს. მეც და უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატონიც კმაყოფილნი ვართ ასეთი გადაწყვეტილებით.

თუკი პოლონეთის მთავრობა ფეხბურთში კორუფციასთან ბრძოლის მომიზეზებით გაჯიქდებოდა, მაშინ ქვეყნის ფეხბურთის კავშირი დროებით დაკარგავდა ფიფასა და უეფას წევრობას. დაკარგავდა აგრეთვე 2012 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას, ამასთან ერთად გაუქმდებოდა 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჩეხეთთან და სლოვაკეთთან და პოლონეთს დამარცხება მიესჯებოდა.

თუმცა, როგორც ამ ორგანიზაციების აღმასკომების წევრმა რუსმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტს განუცხადა, პოლონეთის საკითხი მაინც შევა ფიფას აღმასკომის დღის წესრიგში. მისი სხდომა კი 23-24 ოქტომბერს ციურიხში უნდა გაიმართოს.

ინტერნეტიდან

## ავარიით დაიწყეს



**იალქნიანი ნავების მე-10 დედამიწის გარშემო რბოლის Volvo Ocean Race დაწყების წინ გაიმართა ორი მოკლერბოლა პორტ ალიკანტეში. ორივე მოიგო ესპანურმა Telefonica Blue.**

სამაგიეროდ, ძალზე ცუდად დაიწყო დიდი საოკეანო რბოლის წინა გასინჯვა ამ შეჯიბრების დებიუტანტმა – რუსულმა Team Russia. მეორე სტარტის დროს იალქნიანი „კოსატკა“, რომლის მესაჭეა ცნობილი სტიგ ვესტერგარდი, შეასკდა ორ იახტას, რომელთა შეკეთებას სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც დასჭირდება, არადა დიდი რბოლა 11 ოქტომბერს უნდა დაიწყოს, ის 9 თვეს გაგრძელდება. პირველი ეტაპის – ალიკანტე – კეპტაუნის – სიგრძე 12 038 კილომეტრია (7480 საზღვაო მილიძ.

## „რეაქტიულმა ადამიანმა“ ლა-მანში დაიპყრო

**შვეიცარიელმა ექსტრემალმა ივ როსიმ ლეგენდარული იკაროსივით ფრთები „გამოისხა“ და ლა-მანშს გადაუფრინა. თუმცა იკაროსის ფრთებისა და კარლსონის პროპელერისგან განსხვავებით საკუთარი კონსტრუქციის ფრთები აღჭურვილი იყო ოთხი მაღალბრუნვადი რეაქტიული ძრავით, რომელიც ამ საქმეზე ხელგაწაფულ გერმანულ ფირმაში იყო დამზადებული.**



თანამედროვე იკაროსმა სტარტი საფრანგეთის ქალაქ კალეში აიღო მსუბუქძრავიანი თვითმფრინავით, რომლიდანაც ის 3000 მეტრის სიმაღლეზე გადმოხტა. გაშალა ფრთები, აამუშავა ტურბინები და საათში 200 კილომეტრის სიჩქარით დაიწყო ფრენა.

13 წუთში, 35 კილომეტრი რომ გაიფრინა, ის უკვე ინგლისის ცაში იყო. მან პარაშუტი გახსნა და უამრავი ხალხის თვალწინ მშვიდად დაეშვა დუვრში.

ივ როსამდე ლა-მანში ასე არავის გადაუფრენია.

– ხომ დავამტკიცე, რომ ადამიანს ჩიტივით ფრენა შეუძლია! – განაცხადა გახარებულმა როსიმ. ის 47 წლისაა, სამოქალაქო ავიაციის პილოტია.

ფრთები 2,5 მეტრზე იშლება. მისი წონა ძრავებით 30 კილოგრამია, საწვავით – 55 კგ.

**სურათზე: „ნარნარად“ დაჯდომა ინგლისის მიწაზე.**

## ინვალიდის ეტლით ალპებში

**70 წლის გერმანელმა იოაჰიმ ფრიდრიხმა ეს გერმანიაში ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების გასაძლიერებლად გააკეთა, პენსიონერისთვის საგანგებოდ დაამზადეს ინვალიდის ელექტრონული ეტლი, აკუმულატორზე რომ მუშაობს და საათში 12 კილომეტრს გადის.** დღეში ის 50-60 კილომეტრის დაფარვას ახერხებდა. მშობლიური ჰამბურგიდან იტალიის დედაქალაქში ჩასასვლელად მას 9 კვირა დასჭირდა.

ვატიკანში იოაჰიმი რომის პაპმა ბენედიქტ XVI მიიღო.

## შარლოტამ ფეხბურთელები გაანაწყენა

**დიახ, ძალზე „შავი დღე“ გაუთენდა მსოფლიო, პირველ რიგში კი – ინგლისურ ფეხბურთს. სახელგანთქმულმა მოდელმა შარლოტა მირსმა განაცხადა, რომ ამიერიდან ფეხბურთელებს აღარ შეხვდება. „პორსმუტის“ თავდამსხმელის ჯერმეინ დეფოს ყოფილმა გულისვარდმა ამას უკვე 8 თვეს გაუძლო, როგორც ამბობენ, ის ამაზე სულაც არ წუხს და რაიმე სერიოზული კავშირის გაბმასაც არ აპირებს.**

აი, ამ „გულღია“ სურათის გაზეთისათვის „The Sun“ გადაღებისას მან განაცხადა, რომ მთლიანად კონცენტრირებულია თავის კარიერაზე, თუმცა არ იცის, თუ ვის და როდის შეხვდება? „მაგრამ ის ფეხბურთელი არ იქნება“, – მკვეთრად განაცხადა შარლოტამ.



# განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 7 ნოემბერს 14 საათზე, ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „აბვ"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ბამბის საპენტი და ბამბის საბერტყი შენობა – შენობა ერთსართულიანია 350 კვ.მ., აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით – შეფასებულია 5000 ლარად;
2. ბამბის საპენტი და ლეიბების სამკერვალო შენობა – შენობა ერთსართულიანია 462 კვ.მ., აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით – შეფასებულია 6500 ლარად;
3. რკინის გადახურული – შენობა აშენებულია ლითონის მასალებით 239,4 კვ.მ., შეფასებულია – 18000 ლარად;
4. საყარაულო ჯიხური – შენობა აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით 13,6 კვ.მ., შეფასებულია 500 ლარად;
5. ბამბის საბერტყი მანქანა (კუსტარული) – 5 კვტ. – შეფასებილია – 1500 ლარად;
6. ელექტრო ტრანსფორმატორი – 250 კვტ. – შეფასებულია 10 000 ლარად;
7. პრესი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 1500 ლარად;
8. ელ. გამომჭრელი დანა – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 250 ლარად;
9. ელ. ძალოვანი კარადა – საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია – 800 ლარად;
10.საკერავი ელ. მანქანები 0,7 კვტ. ძრავებით – 21 ცალი – შეფასებულია – 4830 ლრად;
11. ბამბის საჩეჩი მანქანა – "მჩ-100" მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია – 8000 ლარად;
12. დიზელ გენერატორი – 75 კვტ. საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია – 7500 ლარად;
13. სავენტილაციო არხი – საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია – 1000 ლარად;
14. ტელფერი – 1 ცალი მუშა მდგომარეობაში, 1 ცალი საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია 1250 ლარად;
15. ჩარჩო ხერხი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 12000 ლარად;
16. მრგვალი ხერხი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 3000 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 81630 (ოთხმოცდაექვსიათას ექვსასოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

**ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**.

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 7 ნოემბერს 15:00 საათზე, ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „ბეღელის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ხორბლის გამწმენდი – 1,5 კვტ. ძრავით მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია – 800 ლარად;
2. ხორბლის მიმწოდებელი – 2 კვტ. ძრავით – შეფასებულია 300 ლარად;
3. ელექტროწისქვილი – 400 კგ/სთ წარმადობის, 10 კვტ. – შეფასებულია – 2000 ლარად;
4. დამახარისხებელი ბუნკერი – მუშა მდგომარებაში – შეფასებული 1500 ლარად;
5. ტომრის მოსაკერი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია – 600 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 5200 (ხუთიათას ორასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

**ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**.

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 10 ნოემბერს 14 საათზე, სამტრედიაში, რესპუბლიკის №6-ში (სამტრედიის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) ს/ს „სამტრედმშენის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ადმინისტრაციული კორპუსი – შენობა ორსართულიანია – აშენებულია მსხვილი სამშენებლო ბლოკით, 471 კვ.მ., – შეფასებულია 6000 ლრად;
2. საწარმოო კორპუსი – შენობა ერთსართულიანია – 651,5 კვ.მ., – შეფასებულია 5000 ლარად;
3. სადარაჯო ჯიხური – აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით, 9,3 კვ.მ., – შეფასებულია – 200 ლარად;
4. სახანძრო რეზერვუარი – აშენებულია რ/ბ კონსტრუქციით, 36 კვ.მ., – შეფასებულია – 1500 ლარად;
5. საწვავის გამწყობი შენობა – შენობა დაშლილია.
6. მექანიზმების მომსახურების ღია მოედანი – 100 % დაფარულია მიწით.
7. შესადუღებელი აგრეგატი – „გაზ-24"-ის ძრავზე „ადბ-3122" მარკის, შესაკეთებელია – შეფასებულია – 1500 ლარად;
□8. მიწის ნაკვეთი – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების – 7200 კვ.მ., – შეფასებულია – 43200 ლარად;
9. ავტომამწე „კც-3577" – შეფასებულია – 1240 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 58640 (ორმოცდათვრამეტიათას ექვსასორმოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**.

---

## ცხადდება კონკურსი

**მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება აცხადებს კონკურსს საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერების ისტორიის დარგში საუკეთესო ნაშრომის წარმოდგენისათვის. კონკურსში გამარჯვებული შრომის ავტორი დაჯილდოვდება მეცნიერების ისტორიის საზოგადოების ვერცხლის მედლით და პრემიით ხუთასი (500$ ამერიკული დოლარით ან შესაბამისი თანხით ეროვნულ ვალუტაში.**

ასევე ცხადდება კონკურსი მასმედიის წარმომადგენლების მიერ მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით საუკეთესო მასალების წარმოდგენისათვის. გამარჯვებულს გადაეცემა საზოგადოების ვერცხლის მედალი და სამასი (300$ ამერიკული დოლარი ან შესაბამისი თანხა ეროვნულ ვალუტაში.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ვადაა ა/წ 31 ოქტომბრამდე საზოგადოების ოფისში. მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №256.

ჯილდოების გადაცემა მოხდება იუნესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად ა/წ 10 ნოემბერს „მეცნიერების დღის" აღსანიშნავ სხდომაზე.

**დაწვრილებით ცნობებისათვის დარეკეთ 36-53-17, 899 18-01-08.**

**რაფიელ ჩიქოვანი**

---

## საქართველოს კულტურის ფონდი აცხადებს კონკურსს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

**პრემია მიენიჭება ნებისმიერ პიროვნებას ძველმოძმედებისა და ეროვნული კულტურის გადარჩენა-აღორძინების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის.**

გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ბრინჯაოს მედალიონითა და ფულადი პრემიით.

პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატის წამოყენება შეუძლიათ კულტურის სამინისტროს, შემოქმედებით კავშირებს, ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსში მონაწილეთა მსურველებმა წარდგინება-რეკომენდაცია უნდა წარმოადგინონ კონკურსის გამოცხადებიდან ამა წლის 1 დეკემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.№48.
ტელ: 99-64-11; 99-85-79.

---

## ს.ს.ი.პ. – სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

1. ინსტიტუტის დირექტორი;
2. ბიოაქტიური ნივთიერებების ლაბორატორია – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
3. ბიოაქტიური ნივთიერებების ლაბორატორია – მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
4. იმუნორეაბილიტაციის ლაბორატორია – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული;
5. იმუნორეაბილიტაციის ლაბორატორია – მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
6. კლინიკური ფარმაკო-იმუნოლოგიის ლაბორატორია – მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
7. ბიომედიცინის ლაბორატორია – მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მისამართებზე: www.mes.gov.ge, www.imb.org.ge ან დაგვიკავშირდით 54-07-25, 53-02-87, 899-409-283. საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 24 ოქტომბერი. კონკურსი ჩატარდება 31 ოქტომბერს.**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აქციონს

**სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარ მდგომარეობამდე მიყვანილ 10 ერთეულ საპატრულო კატარღაზე ჯართის სახით.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირისგარდა 2008 წლის 9 ოქტომბრიდან 2008 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

| ლოტის # | საქონლის დასახელება | რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი | ბიჯი |
|---|---|---|---|---|
| 1 | საპატრულო კატარღა. | 10 ერთეული | 15600 | 300 |

**გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10%-ზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი „220101502“, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებულისაქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

სსიპ სსსტც „დელტა“, ქ.თბილისი, მნათობის ქ.№73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 10 ნოემბერს 14 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, მნათობის ქ.№73, მე-2 სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი

– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები.

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

ტელ: 95-28-28.

მის: ქ.თბილისი, მნათობის ქ.№73, მე-2 სართული.

# განცხადება

## სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ დირექტორატი განმეორებით იწვევს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ აქციონერებს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 28 ოქტომბერს 14 საათზე ბანკის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისში, ლეონიძის (ყოფ. კიროვის) ქ. № 1.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ დირექტორატის წლიური ანგარიში;
2. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ გარე აუდიტის შედეგების შესახებ;
3. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალის შესავსებად ღსს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკისა“ და ღსს აზერბაიჯანის ინდუსტრიული ბანკის“ მიერ გამოყოფილი თანხის კონვერტაციისას კურსთა სხვაობით დარჩენილი თანხის განაწილების შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ დირექტორატში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ის აქციონერები, რომლებიც 2008 წლის 24 სექტემბრის 17:30 საათის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი „თბილისის რეესტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 17 ოქტომბრის 9:30 საათიდან 27 ოქტომბრის 17:30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩა № 19, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი “თბილისის რეესტრი“.

## ინფორმაცია

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „გზაპროექტის“, „საქწყალკანალპროექტის“, „კულტპროექტის“, „მშენებლობის პროექტირების ექსპერტიზის“ და „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ შერწყმა. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.**

**მისამართი: შპს „გზაპროექტი“, ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი, 2, ტელ: 26-37-58. ფაქსი: 36-34-05.**

**სს „საქგაზმშენი“ აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული სამშენებლო ტექნიკის 11.7 ტონა ჯართის რეალიზაციის მიზნით. ერთი ტონის საწყისი ფასია 130 ლარი დ.ღ.გ.-ის ჩათვლით, მყიდველის დაზადებით და ტრანსპორტირებით.**

ჯართის ადგილმდებარეობა:

**იმერეთის რეგიონში 4.5 ტონა**
**კახეთის რეგიონში 4.5 ტონა**
**ადგილზე 2.7 ტონა**

**გამყიდველის მისამართი:**

ქ. თბილისი, ქორესის ქ.№13, ტელ: 70-66-30.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. განცხადებები აქციონში მონაწილეობაზე მიიღება 2008 წლის 9 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 23 ოქტომბერს დღის 12 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები საააუქციონო კომისიას წარუდგენენ:

1. განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე, სადაც მითითებული იქნება სურვილი ჯართის შეძენის თაობაზე:
2. „ბე“-ს შეტანის ქვითარი. „ბე“-ს სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტს და შეტანილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ვითიბი ბანკი „ჯორჯია“, ცენტრალური ფილიალი ა/ა. №16467466, საიდენტიფიკაციო კოდი 208141312.
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია მაქსიმალური ღირებულების გადახდა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**სს „საქგაზმშენის“ დირექცია**

**გვწერენ**

## უანგაროდ დამეხმარნენ

**პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, ამიტომ ხშირად ექიმების დახმარება მჭირდება. ამჯერად სამედიცინო-სამკურნალო ცენტრ „ინტერმედის“ თანამშრომლები დამიდგნენ გვერდით. თქვენი გაზეთის მეშვეობით უანგარო თანადგომისთვის „ინტერმედის“ გენერალურ დირექტორს, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკ თამაზ ჩიტაიას და ფიზიოთერაპიის განყოფილების ასისტენტ ეკატერინე სხილაძეს მადლობა მინდა გადავუხადო. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.**

**გიორგი მელაძე**

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.